საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 16 ივლისი, 2013 წელი.

№132 (7259)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საპრეზიდენტო მარათონი

③-④

ჰედრასტი სათუთი არსებაა, გული არ ატკინო, შე ნადირო!

⑤

ნინო ბურჯანაძე მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებას გვპირდება

⑧

დანაშაული და სასჯელი

⑥

„ახლებისა“ და „ძველების“ დაპირისპირება საგზარო დეპარტამენტში

⑦

② უკანონო ფარული ჩანაწერები გეომეტრიული პროგრესიით იზრდება

ოპერაცია — ციხის კადრები

⑪

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ

NDI-ᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲣᲗᲛᲝᲑᲡ

ᲛᲝᲠᲘᲒᲑᲘ **კვლევები ჩაატარა NDI-მ. ალბათ მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება კვლევის შედეგები, მიუხედავად იმისა, რამდენად სანდოდ მიიჩნევს მას საზოგადოების ნაწილი.**

კვლევის თანახმად ყველაზე პოპულარულ ოპოზიციურ ლიდერად **დავით ბაქრაძე** დასახელდა. მისი ე. წ. „მოწონების მაჩვენებელი“ 48 პროცენტია. მეორე ადგილზე 38 პროცენტით სალომე ზურაბიშვილი გავიდა. მას კვალში უდგანან გიორგი თარგამაძე, კახა კუკავა, გიგი უგულავა და მიხეილ სააკაშვილი. ზემოთ აღვნიშნეთ რამდენად სანდოა მოსახლეობისათვის NDI-ის კვლევის მაჩვენებელი-მეთქი, ეჭვი იმანაც გააჩინა, რომ თურმე სააკაშვილმა, მოწონების რეიტინგით, ნინო ბურჯანაძეს გაუსწრო.

რაც შეეხება დეპუტატებს, პარლამენტის წევრებს შორის ყველას **ეკა ბესელიამ** — 52 პროცენტით გაუსწრო. მას ჩამორჩებიან თინა ხიდაშელი, ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი და მანანა კობახიძე.

თურმე 10 პროცენტით შემცირებულა იმ მოქალაქეთა რაოდენობა, ვინც ბიძინა ივანიშვილის საქმიანობას „ძალიან კარგად“ აფასებდა. ამჯერად პრემიერის საქმიანობას „ძალიან კარგად“ აფასებს რესპონდენტთა 18 პროცენტი, „კარგად“ — 37, „საშუალოდ“ — 22. კვლევაში შემდეგ ადგილს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი იკავებს.

მოწონების მაჩვენებლით **ბიძინა ივანიშვილის** რეიტინგი წინა კვლევასთან შედარებით 6 პროცენტით შემცირდა და 69 პროცენტი შეადგინა. ეს ჯერჯერობით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ყველაზე მოწონებად ფიგურად კვლავ სრულიად საქართველოს პატრიარქი **ილია მეორე** რჩება — კვლევის მიხედვით პატრიარქს გამოკითხულთა 92 პროცენტი უჭერს მხარს.

რაც შეეხება ნდობის რეიტინგს აქ კვლავ საქართველოს ჯარი ლიდერობს, მეორე ადგილზეა პოლიცია, ხოლო მესამე ადგილზე კოალიცია „ქართული ოცნება“ გავიდა. ბოლო ადგილებს საქართველოს პროფკავშირები და „ნაციონალური მოძრაობა“ ინაწილებენ.

გამოკითხულთა უმეტესობა მინისტრთა შორის უპირატესობას ირაკლი ალასანიას და **თეა წულუკიანს** ანიჭებს. მესამე ადგილზე **ირაკლი ღარიბაშვილი** გავიდა.

გამოკითხულთა 29 პროცენტს სურს, პრეზიდენტად **გიორგი მარგველაშვილი** იხილოს, 26 პროცენტს კი ჯერ არჩევანი არ გაუკეთებია.

შეგახსენებთ, რომ NDI-ის კვლევები 12-26 ივნისს ჩატარდა და მასში მონაწილეობა 2338 რესპონდენტმა მიიღო.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲑᲔᲥᲐᲣᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიების მოსაპოვებლად:**

1. **გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია** — მეტალურგიისა და ქიმიური ტექნოლოგიის დარგში.
2. **რაფიელ აგლაძის სახელობის პრემია** — ქიმიური ტექნოლოგიის დარგში.
3. **გიორგი წერეთლის სახელობის პრემია** — აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში.
4. **არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია** — ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების დარგში.
5. **სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია** — ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგში.
6. **დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემია** — ფსიქოლოგიის დარგში.
7. **ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის პრემია** — ფიზიკის დარგში.
8. **ლეო დავითაშვილის სახელობის პრემია** — ევოლუციის თეორიისა და პალეობიოლოგიის დარგში
9. **ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია** — გეოგრაფიის დარგში .
10. **ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემია** — მედიცინის, მედიცინის ისტორიის დარგში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომისათვის განსაზღვრული პერიოდულობით ანიჭებს გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიურ სახელობით პრემიებს.

პრემიების მინიჭება ხდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მეცნიერის დღესთან (10 ნოემბერი) დაკავშირებით.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა დაწესებულებებში ან ცალკეულ პირთა მიერ არის შესრულებული.

კოლექტიურ ნაშრომებში პრემია მიეცემა იმ ავტორებს, რომელთაც დაადგენს აკადემიის საექსპერტო კომისია წარმომდგენ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც უკვე მიენიჭა სახელმწიფო ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებიც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატს წამოაყენებენ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წარწერით:

„_____ სახელობითი პრემიის მოსაპოვებლად“ — უნდა წარმოადგინონ შემდეგი მასალა:

ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

ბ) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერებისა თუ რომელიმე დარგის განვითარებისათვის;

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (საანკეტო მონაცემები; ძირითად სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა ნუსხა);

დ) წარმომდგენის დასტური იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული ამ დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული პრემია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს 2013 წლის 7 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე; თბილისი, რუსთაველის გამზ., № 52, ოთახი 311.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 2 99-00-52.

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲚᲘᲢᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲬᲕᲔᲕᲐ

ᲐᲛᲘᲡ **შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

მისი თქმით, ლიტვაში ვიზიტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ლიტვა ცოტა ხნის წინ ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა და აქედან გამომდინარე, ზალკალიანის განცხადებით, მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის მოწვევა. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, შეხვედრებზე საუბარი იქნება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და იმაზე, თუ როგორ ემზადება საქართველო ვილნიუსის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისთვის.

ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი შეხვდება ლიტვის პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს. ასევე, ბიძინა ივანიშვილი სიტყვით გამოვა ლიტვის ევროპულ კლუბში.

19 ივლისს კი, ბიძინა ივანიშვილის ვიზიტი პოლონეთში გაგრძელდება, სადაც იგი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს დონალდს ტუსკს შეხვდება.

ᲡᲣᲡᲢ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲚᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ

ᲞᲐᲐᲢᲐ **ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔ** **ამ ეტაპზე ქართულ პოლიტიკაში მისი ჩართვის აუცილებლობას ვერ ხედავს. აღნიშნულთან დაკავშირებით ბურჭულაძე განცხადებას ავრცელებს.**

— ბოლო დღეებში, ჩვენს ოფისში არ წყდება ზარები, გვიკავშირდებიან ჩვენი თანამემამულეები და მედიის წარმომადგენელები. გადავწყვიტე გამოვეხმაურო ჩვენს ერთგულ ჟურნალისტებსა და საზოგადოებრივ ინტერესს.

მინდა კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ, რომ წლების მანძილზე ვიღებდი შემოთავაზებებს, ჩემი პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის შესახებ, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი უარს და ჩემი ეს პოზიცია არც არასოდეს მინანია.

ბოლო დროს, ეს შემოთავაზებები ძალიან გააქტიურდა, მასში ჩაერთო ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი, ასევე მომმართეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა.

გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ადამიანს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვინც ამ პერიოდში პირადად გვიკავშირდებოდა თუ წერილებს გვწერდა, უღრმესი მადლობა გამოსხატული ნდობისა და პატივისცემისათვის, მათ შორის ბატონ ჯონდი ბაღათურიასა და კახა კუკავას, რომლებმაც გაახმოვანეს საზოგადოების ეს მოსაზრება.

ვფიქრობ, რომ დღეს ჩემი პოლიტიკაში ჩართვის აუცილებლობა არ დგას და იმ საზოგადოებრივი საქმიანობით, რომელსაც ვეწევი ბევრად უფრო მეტ სარგებელს მოვუტან ჩვენს ხალხსა და ქვეყანას. მე ყოველთვის ვიდექი და ვიდგები ჩემი ერის სამსახურში და თუ ჩვენ ოდესმე ყველანი ერთად მივიჩნევთ, რომ ჩვენს ქვეყანას სხვა სფეროში მეტად სჭირდება ჩემი ყოფნა და გამოცდილება, გპირდებით, რომ მზად ვიქნები ეს ნაბიჯი გადავდგა.

ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲨᲘ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ **თავდაცვის მინისტრმა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი მაისში დამტკიცდა.**

მისი თქმით, დოკუმენტი წარმოადგენს შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს განვითარების გეგმას, რომელიც თანხვედრაშია მინისტრის და სამინისტროს ხედვასთან.

— ამ გეგმაში სპეციალური თავი რეზერვს ეთმობა. წარმოდგენილი ვარიანტი სამი ტიპის რეზერვით არის განსაზღვრული. ეს არის: ოპერატიული რეზერვი, ტერიტორიული რეზერვი და სამოქალაქო თავდაცვის რეზერვი. ამ გეგმაში მე ვაპირებ სერიოზული კორექტივები შევიტანო, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მისივე თქმით, ყველა ნაბიჯი და ყველა გეგმა ეფუძნება ბიუჯეტს.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔᲝᲛᲠᲘᲡ ᲙᲕᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ ᲡᲐᲮᲚᲡ ᲛᲝᲘᲬᲧᲝᲑᲡ, ᲛᲣᲜᲓᲘᲠᲘᲡ ᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!

— ᲐᲡᲔᲗ **უპასუხა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ჟურნალისტის შეკითხვას გიგი კალანდაძესთან დაკავშირებით.**

მისი თქმით, გიგი კალანდაძის საქმეზე მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება მის ფუნქციებში არ შედის.

— მიმდინარე გამოძიებებზე არანაირ კომენტარს არ ვაკეთებ, ეს არ შედის ჩემს ფუნქციაში. ამ საქმეზე გამოძიებას თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული ქვედანაყოფები არ აწარმოებს. ჩემი აზრით, ისეთი ადამიანები, რომლებიც ბიუჯეტიდან ნახევარ მილიონს, რომელიც ჯარისკაცის კვებისთვის არის გამოყოფილი და განსაზღვრულია ჩვენს შეიარაღებაზე, ხელს მოკიდებს, საკუთარ ბინას იყიდის და მოიწყობს, ჩემი გადმოსახედით, მუნდირის ტარების ღირსი არ არის. ამიტომ მათ განცხადებებსაც მე სერიოზულად ვერ აღვიქვამ, — განაცხადა მინისტრმა.

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲒᲔᲝᲛᲔᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲘᲗ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ᲨᲘᲜᲐᲒᲑᲐᲜ **საქმეთა სამინისტრომ უკანონო ფარული ჩანაწერების ამსახველი დამატებით 5 000 ახალი ფაილი აღმოაჩინა, —ამის შესახებ გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა, შს სამინისტროში ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის წევრმა ლაშა ტუღუშმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

ლაშა ტუღუშის ინფორმაციით, ორი დღის წინ გაიმართა კომისიის სხდომა, სადაც ცნობილი გახდა, რომ ბოლო ორი-სამი კვირის მანძილზე, შსს-მ დამატებით კიდევ 5 000 ფაილი აღმოაჩინა. ტუღუშის განცხადებით, მან არ იცის, თუ სად მოხდა ახალი მასალების აღმოჩენა. მისივე ინფორმაციით, შსს-ში უკანონო ფარული ჩანაწერების 12 000-მდე ფაილი ინახებოდა და ახლა მათმა რიცხვა 17 000-ზე მეტი შეადგინა.

ტუღუშის ინფორმაციით, აღმოჩენილი მასალები პოლიტიკური შინაარსისაა, რაც გულისხმობს პოლიტიკური პარტიების, მათი ლიდერების, ოფისების, მოლაპარაკებების, შესაძლო საიდუმლო საუბრების და ფინანსურ აქტივობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

— ვითარება არის ისეთი, რომ ახალი ინფორმაციები სოკოებივით იზრდება, მუდმივად ხდება სადღაც, რაღაცების აღმოჩენა, მომავალშიც უნდა ველოდოთ სიურპრიზებს, — განაცხადა ლაშა ტუღუშმა.

მისივე თქმით, კომისია საქართველოს მთავრობის მრჩეველის თომას ჰამერბერგის რეკომენდაციებს ელოდება, განადგურდეს თუ არა ჩანაწერები. რეკომენდაცია კი ერთ კვირაში დაიდება.

ლაშა ტუღუშმა ასევე აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების დროს არსებული ფარული მოსმენების სისტემა ჯერაც არ მოშლილა.

მისივე ინფორმაციით, მოქალაქეების სატელეფონო საუბრები და მოკლე ტექსტური შეტყობინებები თავს იყრის სატელეფონო კომპანიებში განთავსებულ ე.წ. ყუთებში, საიდანაც ინფორმაცია ძალოვან სტრუქტურებს მიეწოდება. ტუღუშის განცხადებით, შესაძლოა აღნიშნული ინფორმაციით ახლა ბოროტად არავინ სარგებლობს, თუმცა სისტემის დემონტაჟი აუცილებელია.

ტუღუშის განმარტებით, აღნიშნული სისტემის მუშაობის ტექნოლოგიური პრინციპი მისთვის უცნობია, თუმცა უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით ჩატარებულ კონფერენციებზე აღნიშნული სისტემის არსებობა სატელეფონო კომპანიებს არ უარყვია. წინა ხელისუფლების პირობებში შსს-ს ჰქონდა სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიები, რისი მეშვეობითაც უწყებაში მოკლე ტექსტური შეტყობინებები მიდიოდა, ასევე მათ შეეძლოთ ერთდროულად დაახლოებით 21 000 ჩანაწერის გაკეთება.

ლაშა ტუღუში მიიჩნევს, რომ აღნიშნული ვითარება საკანონმდებლო დონეზე უნდა მოწესრიგდეს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

წინ არჩევნებია!

წინასაარჩევნო კამპანიის გახსნამდე დიდი დროა დარჩენილი, თუმცა, კანდიდატები უკვე ემზადებიან საპრეზიდენტო მარათონისთვის, უკვე გამოიკვეთა, ვინ ჩაერთვება ამ ბრძოლაში. ისე როგორც ყველა არჩევნებში, ახლაც წინასწარ ცნობილია ქვეყნის მომავალი სავარაუდო პრეზიდენტის ვინაობა.

გიორგი მარგველაშვილი, დავით ბაქრაძე, ნინო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი, გიორგი თარგამაძე, შალვა ნათელაშვილი ამ ეტაპისთვის გამოკვეთილი ის ლიდერები არიან, რომლებიც ოქტომბერში პირველობისთვის იბრძოლებენ. არსებობს მოლოდინი, რომ შეესაძლოა, კოალიცია „ქართული ოცნებიდანაც“ რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ საკუთარი კანდიდატურაც ჩართოს ამ ბრძოლაში, თუმცა, ეს იმ შემთხვევაში, თუკი განვითარებული მოვლენები საარჩევნო კონტექსტს მნიშვნელოვნად შეცვლის. ვის რა შანსი აქვს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში და ამ გადასახედიდან ვინ მოიაზრება უპირობო გამარჯვებულად, შედგება თუ არა არჩევნების მეორე ტური, ამ თემაზე ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი გვესაუბრება.

— ბატონო ზაზა, პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატი უკვე დასახელებულია, როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განცხადება რამდენად აისახება „ქართული ოცნების“ კანდიდატის საპრეზიდენტო შანსებზე?

— „ქართული ოცნების“ კანდიდატურას, მოცემულ მომენტში, რესურსი საკმაოდ დიდი აქვს, მის უკან დგას საპარლამენტო უმრავლესობა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის სიმპათია ივანიშვილის გუნდის მიმართ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ, ასევე, საკმაოდ სწრაფად იზრდება გულგატეხილთა რაოდენობაც, სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს, თუმცა კი „ქართული ოცნების“ კანდიდატურა ამ არჩევნებზე მაინც უალტერნატივო იქნება. ეს ცვლილება მხოლოდ არჩევნების მეორე ეტაპის საჭიროებაზე შეიძლება აისახოს. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური კაპიტალის შენარჩუნება მის ლიდერებს ძალზე გაუჭირდებათ. ვფიქრობ, სწორედ ამ საპრეზიდენტო არჩევნებზე უნდა იზრუნონ არა მხოლოდ გამარჯვებაზე, არამედ იმაზეც, რომ გამარჯვების შემდეგ მათ ხელში საზოგადოების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და მნიშვნელოვანი რესურსები იქნება.

— რამდენად სარწმუნოა, რომ ივანიშვილის განცხადების შემდეგ, „ქართული ოცნების“ მთელი რესურსი მართლაც მარგველაშვილის განკარგულებაში დარჩება?

— გააჩნია, როგორ იმუშავებენ წინასაარჩევნოდ, ეს უკვე პოლიტიკურ ტექნიკასა და საინფორმაციო პოლიტიკაზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია, რამდენად შეძლებენ საზოგადოების დარწმუნებას, რომ „ქართულ ოცნებას“ ივანიშვილის გარეშეც შეუძლია არსებობა. ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, თუ რამდენად შეძლებს მათი საპრეზიდენტო კანდიდატი სრულფასოვანი პოლიტიკური იმიჯის შექმნას. ჯერჯერობით, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები არ ჩანს. არადა, ყველა ლოგიკით, იგი უკვე უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ საინფორმაციო სივრცე მის გარეშე არ არსებობდეს. ჯერჯერობით, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყველანი იმ რესურსის იმედზე არიან, რომელიც შარშანდელი არჩევნების დროს მოკრიბეს. არადა, ბევრი განმარტება არ სჭირდება, ეს რესურსი შენარჩუნებას, გამრავლებას და დანაკლისის ანაზღაურებას საჭიროებს. კონკრეტულად რომ ვილაპარაკო, „ქართულ ოცნებას“ სერიოზული მუშაობა სჭირდება ამომრჩევლის დასარწმუნებლად, რომ ისინი გაუძლებენ იმ მორევს, რომელსაც ქართული პოლიტიკა ჰქვია.

ივანიშვილის წასვლის შემთხვევაში, შესაძლებელია, კოალიცია „ქართულ ოცნებაშიც“ დაიწყოს რაღაც სერიოზული ძვრები და ძალების გადაჯგუფება. დღემდე ივანიშვილის ფაქტორი კრავს ამ კოალიციას და მის ერთიანობას ქმნის. რამდენად შეინარჩუნებს მთლიანობას ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში, ვერ გეტყვით. უფრო მეტად, ძვრებსა და გადაჯგუფებებს ველი. თავს წამოჰყოფს ყველა წინააღმდეგობა და ეჭვი აქამდე გატარებული საკადრო პოლიტიკისა თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმართ. ის, რასაც დღეს ნაციონალები ახმოვანებენ და რასაც ისინი, ნებით თუ უნებლიედ, აუფასურებენ, არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვან არგუმენტად იქცევა.

— ვიცით, რომ ივანიშვილის წასვლის შემთხვევაში მარგველაშვილი რჩება, ფაქტობრივად, პოლიტიკური ძალის გარეშე — ის არის პოლიტიკური ლიდერი. როგორ ფიქრობთ, მარგველაშვილისა და ლევან ვასაძის მეგობრობა პოლიტიკურად რაიმე ქულების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს? ან აქვს თუ არა ამ ერთობას რაიმე პოლიტიკური დატვირთვა,

საპრეზიდენტო მარათონი

არის თუ არა ეს ის ფაქტი, რომელსაც ყურადღება უნდა დაეთმოს?

— არსებობს ასეთი მოლოდინი, თუმცა, თუ უფრო კონკრეტული მიზანდასახულობები გამოიკვეთა, არ მგონია, მარგველაშვილისთვის ეს რაიმე წარმატების მომტანი იყოს, რადგან თავად ლევან ვასაძის მიმართ არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა ქართულ საზოგადოებაში. მას იცნობენ, როგორც კარგ ადამიანს, რომელიც პოლიტიკურ თემებზე არაპოლიტიკურ, პოლიტიკური სადღეგრძელოს ჟანრის განცხადებებს აკეთებს. არადა, ამ ჟანრმა, თუ გნებავთ, ერთგვარმა რელიგიურ-ნაციონალისტურმა კიტჩმა შეიძლება ვიღაც მიიზიდოს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ პოპულარველი აღმოჩნდეს ამომრჩეველთა უდიდეს ნაწილში. ქართველი საზოგადოების მსოფლმხედველობრივი რეალიები საკმაოდ შეიცვალა განვლილი 15-20 წლის მანძილზე. ჩვენი ამომრჩეველი უკვე საკმაოდ კარგად ასხვავებს თეატრალურ ჟესტსა და პოლიტიკურ უნარებს.

— შეიძლება დავუშვათ, რომ მხოლოდ პიარაქცია და სიტუაციის მოსინჯვა იყო ვასაძის და მარგველშვილის მეგობრობის დეკლარირება?

— შესაძლოა, გათვლილი იყოს კიდეც, როგორც პიარაქცია, მაგრამ ვიმეორებ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ეფექტური და მარგველაშვილისთვის ქულების მომტანი იქნება. პოლიტიკაში ცოცხალი სურათების ესთეტიკა საკმაოდ ეფექტური ხერხია, თუ მთელი ძალისხმევა პათეტიკაზე არ გადაიტანე. „ქართული ოცნებისათვის“ თავიდანვე დამახასიათებელი იყო ამ ესთეტიკის სიყვარული. მსახიობებისა და სპორტსმენების ავანსცენაზე გამოყვანა ამ ესთეტიკის ნაწილია. მათ უნდა შექმნან ფასადი, რომლის მიღმაც პოლიტიკური კულუარები თავის საქმეს გააკეთებენ. როგორც მგონია, ამ მიმართულებით საკმაოდ არის გადაჭარბება. ფასადი კულუარებში შეიჭრა და ის ადგილი დაიკავა, რომელიც პროფესიონალებს უნდა ეკავოთ.

— რას თვლით მარგველაშვილის უპირატესობად სხვა კანდიდატებთან შედარებით?

— მარგველაშვილს, ჯერჯერობით, პოლიტიკური სვლები არ გაუკეთებია და ძალიან ძნელია ლაპარაკი იმაზე, რამდენად შეძლებს რესურსების მობილიზებას, რამდენად შეძლებს კოალიცია „ქართული ოცნების“ შესაძლებლობათა გამოყენებას, ან პარტიის გადაქცევას რეალურ პოლიტიკურ ძალად. არადა, დრო არ ითმენს. იმ დროს, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს აკეთებს ადგილებზე მდგომარეობის შესანარჩუნებლად და საინფორმაციო სივრცის ფლობისათვის, ასეთი პასიურობა გაუგებარია.

გიორგი მარგველაშვილი დალაგებული, გონიერი, განათლებული ადამიანია, მაგრამ დამეთანხმებით, პოლიტიკა რაღაც სხვაა, დამატებით უნარებს მოითხოვს. ამ უნარების გამჟღავნება მას, ჯერჯერობით, არ უცდია და თუ გააჭიანურებს, ეს შეიძლება მის საწინააღმდეგოდ მიიმართოს. ქართველი ამომრჩევლისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, გრძნობს თუ არა თავისი პოტენციური რჩეულის ენერგიას, უნარს იმისა, რომ დაინახოს პრობლემები და მოაგვაროს ისინი, მოახდინოს ადამიანების მობილიზება და ა.შ. ეს ჯერ არ ჩანს.

— ახალი კონსტიტუციის თანახმად, შეიძლებოდა საპარლამენტო მოდელის შემთხვევაში პრეზიდენტი არჩეული ყოფილიყო პარლამენტის მიერ, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით გადაწყდა საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, რაც ნიშნავს, რომ თვითონ საზოგადოება პრეზიდენტის ფიგურას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. თქვენი შეფასებით, მარგველაშვილი, რამდენად აკმაყოფილებს საზოგადოების იმ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც გადაწყდა, რომ საყოველთაო არჩევნების ჩატარება აუცილებელი იყო?

— ამ თემას ნაწილობრივ უკვე შევეხე. მხოლოდ ამას დავამატებ: ეჭვი არ მეპარება, მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდება. თუმცა, სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, მას არა აქვს ისეთი მაღალი რეიტინგი, რომ პირველივე ტურში მოიგოს არჩევნები. თანაც, თუ ნაციონალების შესაძლო კანდიდატს არ მივიღებთ მხედველობაში, სხვები ჯერაც არ „ამუშავებულან“. იმედი მაქვს, რომ ხვალ და ზეგ უფრო აქტიურად იმოქმედებს და კარგი გაგებით აგრესიულ პოლიტიკურ განცხადებებს გააკეთებს და საინფორმაციო ნაკადის მნიშვნელოვან სეგმენტსაც დაეუფლება.

— როგორც იკვეთება, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი იქნება დავით ბაქრაძე, დანარჩენ ნაციონალებთან შედარებით, მასზე საზოგადოების ნაკლები აგრესია მოდის, რამდენად ძლიერი მოწინააღმდეგე შეიძლება იყოს მარგველაშვილისთვის?

— შანსი იმისა, რომ ბაქრაძე პრეზიდენტი გახდეს, მცირეა და ეს ყველას კარგად მოეხსენება, ვინც კი ახლოს ყოფილა ქართულ პოლიტიკასთან. ძალზე ძნელია, რომ ერთი წლის თავზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეძლოს და შემოაბრუნოს ის მარცხი, რომელიც გასული წლის ოქტომბერში იწვნია. მათი მარცხი წინასწარ არის განსაზღვრული. ამასთან, მონაწილეობა აუცილებელია. ჯერ ერთი, ამის გარეშე თავად „ნაციონალურ მოძრაობაში“ მოხდება სერიოზული ეროზია და შესაძლოა, პოლიტიკური პარტიაც კი აღარ შერჩეს ასპარეზს. არის მეორე მომენტიც, ისინი არ იბრძვიან გამარჯვებისათვის, მაგრამ იბრძვიან სერიოზული წარმატებისათვის, პოლიტიკური წონის შენარჩუნებისთვის. სერიოზული წარმატება იქნება მათთვის, თუ მისი კანდიდატი მცირე პროცენტით წააგებს.

იხ. 4 გვ.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **მოვითხოვ** იმ ფირების გასაჯაროებას, სადაც დღევანდელი პოლიტიკოსები ფიგურირებენ, ისე არჩევნებზე წასვლის აზრს ვერ ვხედავ!

● თელავში დემოკრატიის აკვანი დაირწა. ქალაქის თავზე შარავანდედი დადგა. ერეკლე ვ შოკე!

● დაიცათ, ნაცები რო პრაიმერობანას თამაშობენ და აქეთ-იქით დაეთრევიან, ეგ მასხარაობა ვისი ჯიბიდან ფინანსდება?

● ბარამიძემ - დავბრუნდებითო!!!

— თქვე სა-კბილა-ებო, მამაჩემი უფრო ადრე ადგება ვაკის სასაფლაოდანძ

● თავად პოლიტიკოსებმა უნდა მოითხოვონ მაგ ფირების გასაჯაროება. წინაალმდეგ შემთხვევაში მუდმივი ეჭვის ქვეშ იქნებიანნ! არჩევნებზე ხმას არ მივცემთ, ვინც არ მოითხოვს!

● **ნათია ღეჭავა**

ხალხნო, გაიგეთ, პოლიტიკური სიტუაცია არ იძლევა საშუალებას ერთი ხელის მოსმით მათ გამწესებას სადაც ჯერ არს! 1.საპრეზიდენტო არჩევნები! 2. ადგილობრივი არჩევნები! 3. ვადამდელი არჩევნები! და მათი „დუხიძ“ არ იქნება! ყველაფერი გაკეთდება უსისხლოდ, თეთრი ხელთათმანებით! აი, მაშინ გვექნება უფლება შევიდეთ საბარადო შესასვლელით ცივილიზებულ სამყაროში! სამართალი დადის ურმით, მაგრამ უავარიოდ! მოთმინება ბატონებო!

● ამიხსენით რა ფასეულობა და ღირებულებაა იმის მოთხოვნა, რომ ამდენი უსამართლო განაჩენის გამომტანი მოსამართლეები კუბლაშვილის თამადობით ხელშეუსებლები დარჩნენ და მაშასადამე შევეგუოთ უსამართლო სასამართლოს, სასტიკი რეჟიმის შემქმნელი მკვლელები კი პარლამენტიდან გვმოძღვრავდნენ და ჭკუას გვარიგებდნენ, ამას მოითხოვს დასავლეთი ჩვენგან. და ამას ეძახიან დემოკრატიას.

● გუნავა — გაუზიარე საკანი უგულავას და ბარამიძეს, და ბაქრაძეს და ყველას ნაცმოძრაობიდან...

● პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი — უკვე ჟოლოს გემოთი. არ გაამხილო ახალი ..გემო.. თუ არა და გიპოვით!

● ეს ჩვენი მთავრობის წევრები ტყუილა რო დაწანწალებენ აქეთ-იქეთ, ევროპული ვიზიტებიდან სექეთ-ჰენდის ფუთები მაინც ჩამოგვიტანონ.

● ზოგს დები პოინტერები ყავს, ჩვენ - დები ცენტრპოინტები.

● გვმართებს ყმუილი დიდი და შემაძრწუნებელი ხმით:

იმიტომ რომ 75 ათას კაცს საკუთარი სახლიდან ასახლებენ ყმუილის უფლების გარეშე!

● ყოველდღე ორი ბავშვი კვდება სრულიად უსმოდ, სადღაც ჩვენს შორის!

● ბანკის დირექტორი ხელფასად 2 მილიონზე მეტ ლარს იღებს და ადამიანების უმრავლესობა მონობაშია!

● იყმუვლე თუნდაც იმიტომ, რომ NDI-ის უკანასკნელი გამოკითხვის თანახმად უმრავლესობა უმუშევარია!

● იყმუვლე იმიტომ, რომ ტელეშოუს ყვითელყავისფერ წამყვანს კომუნისტის ცოლობას კაპიტალისტის პროსტიტუტობა ურჩევნია!

● იყმუვლე იმიტომ, რომ თავისუფლებას ყოველ დღე კლავენ!

● მე ვფიქრობ, იმ კადრებში საკმაოდ ბევრი ოცნებელი იღებს მონაწილეობას და იმიტომაა რომ უნდათ მოსპონ.

● ხმები ქართული კინოინდუსტრიის გარდაცვალების შესახებ, ეგზომ გადაჭარბებული აღმოჩნდა, აღარ გავიგო ამ კინოს მესვეურების წუწუნი.

● თუ წინა ხელისუფლების ზონდერი არ ხარ, სამსახურს დღეს ვერ იშოვი.

ამოკრიბა **გია გაბრიჭიძემ**

ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲘ

(ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

უკვე იგრძნობა, რომ ისინი გამოიყენებენ საკმაოდ დახვეწილ პოლიტიკურ ტექნიკას. მათ გაამახვილეს ყურადღება რეგიონებზე და ცალკეულ ინსტიტუციებზე. თბილისი მათთვის იმთავითვეა დაკარგული. ეს ხდება მაშინ, როდესაც „ოცნებას“ აშკარად აკლია თანამიმდევრულობა რეგიონალურ პოლიტიკასა და პარტიულ სტრუქტურებზე ზრუნვაში. მათი მხარდამჭერი საზოგადოებრივი მოძრაობაც კი აღარ არსებობს. არადა, ამ მოძრაობამ ძალზე დიდი როლი შეასრულა მისი წარმატების საქმეში.

ვფიქრობ, ნაციონალების სამიზნე წერტილია არა საპრეზიდენტო არჩევნები, არამედ ამ არჩევნების შემდგომი ხანა. დაგროვილი გულგატეხილობის ფონზე, ივანიშვილის წასვლით გამოწვეული შესაძლო კრიზისი მათი იმედია.

— გარკვეულ წრეებში „ქართული ოცნების“ კანდიდატის სერიოზულ მოწინააღმდეგედ განიხილავენ ნინო ბურჯანაძეს, თქვენი შეფასებით, როგორი რესურსი აქვს მას?

— ქალბატონი ნინო გამოცდილი პოლიტიკოსი და კარგი დიპლომატია. რამდენადაც მე შემიძლია თქმა, დღეს მისი სტრატეგია აგებულია „ოცნების“ იმ ყოფილ მხარდამჭერთა მობილიზებაზე, რომლებსაც გული გაუტყდათ ივანიშვილის გუნდზე. ასეთების რაოდენობა კი თანდათან იზრდება. თავის პროპაგანდას იგი „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ მკვეთრ განცხადებებზე აგებს. ამასთან, ამ ეტაპზე, როგორც მეჩვენება, იგი უგულებელყოფს პროპაგანდის პოზიტიურ ელემენტს. ჩვენი პოლიტიკოსების დიდი ნაწილისთვის არის ეს დამახასიათებელი — საუბრობენ ძირითადად იმაზე, რა არ უნდა იყოს და ვინ უნდა დაისაჯოს, მაგრამ ნაკლებს — სახელმწიფოებრიობის იმ კონცეფციაზე, რომელსაც ამომრჩეველს სთავაზობენ.

სამწუხაროდ, მან 2011 წელს, როგორც ჩანს, თავისი გარემოცვის კარნახით, უშურველად გასცა თავისი პიროვნული რესურსები. 2011 წლის 26 მაისს ჩვენ მხოლოდ ხელისუფლების სიავკაცეში კი არ დავრწმუნდით, არამედ იმაშიც, რომ ოპოზიციას თავისი ბოლომდე გაუთვლელი სტრატეგიით მთელი საზოგადოების პარალიზება შეეძლო. გავიხსენოთ, როგორი თვეები გავიარეთ 2011 წლის მაისიდან ოქტომბრამდე. ასეთი დათრგუნვილი და პარალიზებული ჩვენი საზოგადოებრივი ნება, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მე არ მახსოვს. არადა, ამის გათვლა არ იყო ძნელი.

შეიძლება ვცდები, მაგრამ როგორც მგონია, ამ ეტაპზე ქალბატონ ნინოს ჯობდა პოლიტიკური პაუზა გაეკეთებინა და ამით გაეძლიერებინა მის მიმართ მოლოდინი. პოლიტიკური ცხოვრება ხომ ამ საპრეზიდენტო არჩევნებით არ მთავრდება?!

— არ არის გამორიცხული პრეზიდენტობის პრეტენდენტად ვიხილოთ სალომე ზურაბიშვილიც, რამდენად სერიოზული მოწინააღმდეგე შეიძლება იყოს ის დანარჩენი კანდიდატებისთვის და რა რესურსის ხარჯზე?

— ვერ გეტყვით, როგორია ქალბატონი სალომეს პოლიტიკური გარემოცვა, ვინ არიან ჩართული მის პოლიტიკურ გუნდში. სალომე ზურაბიშვილი არის ის კანდიდატურა, რომელსაც სერიოზული რესურსი აქვს საერთაშორისიო ასპარეზზე და უფრო მოკრძალებული — ქვეყნის შიგნით. როგორც ჩანს, მას არ აქვს ის საშინაო ბერკეტები, რომლებითაც ამა თუ იმ ხარისხის წარმატებას უზრუნველყოფდა. არადა, ეს პიროვნება ძალზე მნიშვნელოვანი კაპიტალია ჩვენი დიპლომატიური ცხოვრებისათვის და უკვე რამდენი წელია, უყურადღებოდ გვყავს მიტოვებული. მას ბევრი საერთაშორისო პრობლემის მოგვარება თუ არა, სერიოზული პროგრესის მიღწევა შეუძლია. მისი რესურსის გამოყენების შემთხვევაში, არც დღევანდელ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ექნებოდა ერთგვარი საბჭოთა ესთეტიკის კვალი.

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, მას გაუჭირდება იქცეს საინფორმაციო სივრცის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად, ამას დიდი ფულადი და საქართველოს შიდა საკომუნიკაციო რესურსები სჭირდება. თუმცაღა, მისი გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში ყოველთვის დადებით როლს ასრულებს — შემოაქვს ის პოლიტიკური მუხტი, რომელიც მოცემულ მომენტში ძალზე საჭიროა-ხოლმე.

— ამ ეტაპზე ცნობილი საპრეზიდენტი კანდიდატებიდან არ გვისაუბრია საპრეზიდენტო არჩევნების მუდმივ კანდიდატზე შალვა ნათელაშვილზე. თქვენი შეფასებით, რამდენად სერიოზული ნაბიჯია მისი მონაწილეობა ამ არჩევნებში?

— უახლოეს მომავალში მიჭირს წარმოვიდგინო ისეთი არჩევნები, სადაც ბატონი შალვა წარმატებას მიაღწევს. იყო დრო, როდესაც მას ჰქონდა შანსი, რომ ქართული პოლიტიკის ცენტრალურ ფიგურად ქცეულიყო. ეს იყო 1999-2003 წლების შუალედი. შემდეგ მას ინიციატივა და პოლიტიკური ნიშა სააკაშვილმა წაართვა. მიუხედავად ამისა, იგი დაუსრულებლად იმეორებს ერთხელ შექმნილ პორტრეტს.

— თუკი წინასაარჩევნოდ ბიძინა ივანიშვილი კიდევ ერთხელ, დარწმუნებით განაცხადებს, რომ ის ტოვებს პოლიტიკას, შეიძლება თუ არა არჩევნების შედეგებში სერიოზული გადათამაშება მოხდეს და პოლიტიკურ ძალთა განლაგება შეიცვალოს?

— თუ ძალიან მკვეთრი რამ არ მოხდა, გარდა ივანიშვილის მიერ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განცხადებისა, ძალთა განლაგება იგივე დარჩება, თუმცა, „ქართული ოცნების“ კანდიდატის მდგომარეობა შედარებით გაუარესდება და თუ ასეთი განცხადებები გაგრძელდა, უკვე დაბეჯითებით შეიძლება საუბარი მეორე ტურზე. აღარაფერს ვამბობ არჩევნების შემდგომ რეალიებზე.

— ვის შერკინებას ელოდებით მეორე ტურში?

—„ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს აკეთებს, რომ ის მეორე ტურში დარჩეს და მათ ეს შანსი კიდევ რჩებათ, რადგან როგორც გითხარით, რეგიონული ორგანიზაციები შეინარჩუნეს და, შესაძლებელია, გარკვეული ხმების მობილიზება შეძლონ. სხვას ვერ გეტყვით. ვისურვებდი, რომ მეორე ტურში ყოფილიყო სალომე ზურაბიშვილი, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, ამჟამინდელი მდგომარეობით ამას მიაღწიოს. გარკვეული შანსი აქვს ქალბატონ ნინო ბურჯანაძესაც, თუმცა, თავისი რესურსებით იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება „ოცნებასაც“ და ნაციონალებსაც. ალბათ, ეს ორი ძალა აღმოჩნდება მეორე ტურში — „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“, თუმცა — სერიოზული პროცენტული სხვაობით. ნაციონალების კანდიდატის მიერ პირველ ტურში ხმების 15%-ის დაგროვება მათთვის სერიოზულ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

— ანუ ის დაამტკიცებს, რომ ქვეყანაში მეორე პოლიტიკური ძალაა, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის რესურსი აქვს?

— რა თქმა უნდა, ამისთვის იბრძვიან და რესურსი თუ არა პრეტენზია აუცილებლად ექნებათ.

— ნინო ბურჯანაძე თქვენი პროგნოზით ვერ გადალახავს პირველი ტურის ზღვარს?

— ქალბატონი ნინოს მიმართ ჩემი პატივისცემის მიუხედავად, არ მგონია, მან ეს მოახერხოს. მას გაუჭირდება საინფორმაციო სივრცის დაუფლება. ეს უკანასკნელი, თითქმის, მთლიანად აქვთ გადანაწილებული „ოცნებასა“ და ნაციონალებს.

— დასავლეთი საქართველოსგან ელოდება დემოკრატიულ, ობიექტურ არჩევნებს. თვლით, რომ დღეს საქართველოში ასეთი საარჩევნო გარემოა? ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი ცვლის თუ არა საარჩევნო კლიმატს?

— ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, რა თქმა უნდა, სერიოზულ გავლენას ახდენს არჩევნების შედეგებზე. რაც შეეხება არჩევნების ობიექტურობას, ყველა ქვეყანაში არსებობენ გამოკვეთილი პოლიტიკური ფიგურები, რომელთა აზრსაც სერიოზული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის. ასეთია ბიძინა ივანიშვილიც და ეს არჩევნების არადემოკრატიულობაზე თავისთავად არ მეტყველებს.

ცხადია, ქართული არჩევნები არასოდეს არ ყოფილა ზედმიწევნით დემოკრატიული, მაგრამ ცოტათი თუ ბევრად სამართლიანი არჩევნები გვქონდა გასული წლის ოქტომბერში. სწორედ ამან განსაზღვრა „ქართული ოცნების“ წარმატება. იმედი მაქვს, ამ ნიშნულს არ ჩავცდებით.

ᲚᲐᲚᲘ ᲖᲘᲠᲐᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲓᲐᲜ

„ᲮᲐᲚᲮᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲠᲔᲣᲚᲘᲐ, ᲙᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ - ᲓᲐᲡᲔᲢᲧᲕᲘᲚᲘ, ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲐᲛᲐᲡᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲒᲠᲝᲕᲓᲐ 566 ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ“...

ᲓᲘᲚᲘᲓᲐᲜ პოზიტივით დავიწყოთ ქართველებო! — შემოუძახა საკუთარი ფეისბუქის გვერდზე შალვა რამიშვილმა „ფრენდებს“, — თელავში „ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერში დავით ბაქრაძემ გაიმარჯვა. კენჭისყრის შედეგებით მეორე ადგილზე გავიდა შოთა მალაშხია, მესამეზე — გიორგი ბარამიძე, ხოლო მეოთხეზე — ზურაბ ჯაფარიძე. კენჭისყრაში 566 დელეგატი მონაწილეობდა. დავით ბაქრაძემ მათ ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და საზოგადოებას მომავალში მაქსიმალურ გახსნილობასა და გულწრფელობას დაჰპირდა“...

და აი, კომენტარებიც:

„წინ არიან აშკარად ... მალაშხია განსაკუთრებით“...

„მე ის 566 დელეგატი უფრო მაინტერესებს“...

„ნწ, ნწ, ნწ... რა მოიგო, ვინ წააგო... ჯაფარიძემ მოინელა, თუ ისევ გაწურული სტაფილოს ფერია“?

„მალაშხიამ აკრიბა? ნაციონალებო, ვავა, ვავა, ვავა“...

„ჯაფარიძე რობოტივით ლაპარაკობს და დგას ხოლმე, თვალსაც არ ახამხამებს, მალაშხიაზე რა გითხრათ“...

„ვერ ვიჯერებ ამ პოსტებს, თვითონ შალვა რამიშვილი წერს თუ ადამიანი ჰყავს“?

„პრაიმერში მაინც გაიმარჯვოს ბაქრაძემ“...

„666 — ეს უკეთესი იქნებოდა, მოუხდებოდათ“!

„რისთვის, რას ატარებენ? არ მობეზრდათ ამდენი ფარსი. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“.

„ეს ხუთასი დელეგატი რაიონიდან რაიონში დაყავთ თუ“?!

„უფ, შენ გაიხარე. ძალიან ვნერვიულობდი“!

„როგორ გამახარე, შალვა რა“...

„დიდი დღეა დიდი, მაგრამ მალაშხია ვინღაა“...

„ჯანდაბას მაგათი თავი. ის მაგიჟებს, რამ გააცოფა კახელები მიშაზე, რატომ მოგროვდა 566 კაცი“?

„მალაშხია ვპეჩალე“....

„რა უნდათ ამ ტაკიმასხრებს... .დაეხეტებიან იქით-აქეთ, ან იმ 566 ადამიანს ტვინი აქვს“?!

„თბილისშიც, ჩემს სამეზობლოშიც არიან მაგნაირები... მიშას აღმერთებენ... კახეთში რომ იყოს, რა გასაკვირია“?

„ისე მშვენივრად უხუმრიათ კახელებს, ეტყობა ნაცობამ გადაძალათ მაინც თუ არა, შოთიკოს პირველი ადგილი ექნებოდა გარანტირებული“...

„მეც ეგ მაგიჟებს.... არჩევნებზე ხომ თავი მოიჭრეს და ახლაც აგრძელებენ“?

„ზოგიერთ ჟურნალისტზე მებრაზება, გუსშინწინ ბედუკაძეზე რა ამბავი ატეხეს? ნუთუ კიდევ ამათ თავს რა ხდებოდა, მაშინ არ იცოდნენ, რომ ედავებიან, არ გაამჟღავნეო თავი, საფრთხეში უნდა ჩაეგდო ოჯახი“...

„ბაქრაძე გადაარჩენს საქართველოს! მაგის ფეშენმაზერ ცოლს 12-კაციანი დანა-ჩანგლის კომპლექტი უყიდია ლილოში და ნუღა გეშინიათ, ხალხო! ცოტა მეფიქრება მილიტარისტული დვიჟენიები არ დაიწყოს, ერთი ჩანგლით რუსეთს ებრძოდა და ახლა უფრო საიმედოდ იქნება“!

„მალაშხია ცოტა დაუპროგნოზირებელი კანდიდატი აღმოჩნდა, საპატიო მეორე ადგილი... მგონი მეორედ უკვე“...

„საერთოდ რატომ აღებინებენ ხმას ნაცებს. მერე ამდენი მაგათი პიარიც ოცნების უნიათობის ფონზე კარგს არაფერს მოიტანს“.

„ვაი მაგათ პატრონს...გააგრძელონ მაგ ტემპში“...

„მაინც რამდენნი არიან ეს ცოცხები“?

„როდის დამთავრდება ეს ბალაგანი“?

„ოო! დავით ბაქრაძის გახსენებაა პოზიტივი“?

„გადარევენ ხალხს ეს დედააფეთქებულები“...

„ხალხი უკვე გადარეულია, კახელები — დასეტყვილი და კი მოგროვდა ამასობაში 566 დელეგატი“...

„უფ, რა გამახარე შალვა“?

„პოზიტივი გამარჯვებასთან ასოცირდება და ვინ იქნება მისი ავტორი, არ აქვს მნიშვნელობა“?

„მალაშხიას მაგრად უყალბებენ ხმებს, რეალურად უალტერნატივოა, ფაქტობრივად ქვეყნის სახეა“...

„გადაშენდენ ეს ნაცები“...

„გიორგი ბარამიძესაც გაუყალბეს. ის ნამდვილად ქვეყნის არა, ნაცების სახეა. რა მძიმე მდგომარეობაა ზოგადად ქვეყანაში. ნუთუ აღარ უნდა დამთავრდეს ამ „ქვეყნის მოკეთეებზე“ საუბარი. 9 წელი არ გვეყო“?

„თელავში ბაქრაძე რომ ჩავიდა, ერეკლე მეფე ცხენიდან გადმომხტარა — ის კაცი მაჩვენეთ, მტერი კოვზით და ჩანგლით რომ უნდა აეკუწაო“...

ᲜᲐᲢᲐ ᲜᲘᲑᲚᲐᲫᲔ

პედერასტი სათუთი არსებაა, გული არ ატკინო, შე ნადირო!

(გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის მიერ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ აღმასრულებელი დირექტორის თამარ რუხაძის განცხადების განხილვისა და რეაგირების შესახებ)

ერთი ამ ენჯეოების უსიერი ტევრის გზამკვლევი მომცა და მომკლა! ვინ არიან, რანი არიან, ვისნი და ვისგან არიან, გულში რა უძევთ ქაღალდზე ჩამოწიკწიკებული, ბეჭედდარტყმული და ინსტანციებში წარდგენილი წესდების წიაღ.

ერთი რამ კი ნაღდი, უტყუარია. მასში თავშეფარებული და ჭიპლარით გადაბმული ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა დეიდები და ბიძიები, თავიანთი მგზნებარე ჰუმანიზმითა და შესაბამისი მადით, დაუფასებელ ამაგს სდებენ ჩვენს უკომპასოდ მობორიალე საზოგადოებას.

მარტო 17 მაისს და შემდგომ დღეებში ენჯეოების მედგარი შემართება და ჰომოსექსუალისტებზე მატროსოვისებურად გადაფარება კმარა მათი მაღალი ზნეობისა და მოწყვლადი სულიერების საილუსტრაციოდ.

იმ 30-მდე „საცოდავ“ პედერასტთან ერთად 10-12 ათასი „Примкнувший к ним“ დამცველი, ამ ხელისუფლების თუ ეკლესიის მოწინააღმდეგე იდგა იმ დღეს მოპროტესტე ხალხის პირისპირ, ეს ის 10-12 ათასი ხელმომწერია ანტისახელისუფლებო პეტიციაზე, 17-მაისელი გომიკების დამცველ-დამრაზმველი.

გახსოვთ რა შემართებით შეუტიეს საზიზღარ, აღმაშფოთებელ, ყოვლად ჩამორჩენილ ქართულ ყოფას და ტრადიციებს, როგორ ბრმათათვისაც კი თვალსაჩინო გახადეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამამუხრუჭებელი, რეაქციული როლი ქვეყნის საყოველთაო ჰომოსექსუალიზაციაში, საერთოდ, ქართული საზოგადოების დასავლეთიზაციაში, რადგან ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადიო.

მე არ ვიცი, რამდენი პედერასტია დღეს საქართველოში, ოღონდ, ცხადია, განუზომლად მეტი, ვიდრე ჩემს ყმაწვილკაცობაში იყო დღეს მათ თითებზე ვეღარ ჩამოთვლი – ტუზიკა, ქიშო, რამდენიმე კიდევ... მაგრამ რამდენიც გინდა იყვნენ, ყოველ მათგანზე შემწედ და მფარველად თითო არასამთავრობო მაინც მოდის. ყოველი პედერასტის უკანალს ეროვნულ ღირებულებას სძენენ და მის „მაჯისცემას“ ფხიზლად და ფაქიზად აყურადებენ.

ამას წინათ რედაქციაში „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ განცხადება მივიღეთ. თურმე ქარტია გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად ქართული მედიის მონიტორინგს ახორციელებს ბავშვთა საკითხების გაშუქებაზე.

ჩვენ, ბრმებმა და ყრუებმა, რა ვიცოდით რომ ქარტიას ამ საპატიო და მოსარიდებელი მისიის შესახებ ჯერ კიდევ ივნისის შუა რიცხვებში პრესკონფერენციაზე განუცხადებიათ ქარტიის და ფონდის წარმომადგენლებს. არ ვიცოდით და დავისაჯეთ კიდეც: ქარტიის აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ რუხაძემ ზემორე ნახსენები განცხადება დაგვახალა შიგ გულში: **„მონიტორინგის ფარგლებში ჩვენი ყურადღების ქვეშ მოხვდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2013 წლის 1 ივნისს გამოქვეყნებული ერთ-ერთი მასალა, რაშიც გამოვლენილია დარღვევა. რედაქციას ვთხოვთ განიხილოს წარმოდგენილი განცხადება და მოახდინოს რეაგირება. შედეგები გთხოვთ, აცნობოთ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას“** – გვიბრძანებდა დასასრულ აღმასრულებელი დირექტორი.

უმალ ვეცით 2013 წლის 1 ივნისის ნომერს, რომელშიც ის ნავსი ინტერვიუ გამოგვიქვეყნებია. ავტორი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური ჟურნალისტია, ინტერვიუერი – საქართველოს გამოჩენილი ბავშვთა ექიმი.

მივყვეთ ქარტიის შემოლაწუნებას: **ინტერვიუში საუბარია ბავშვთა და მოზარდთა პრობლემებზე, ჟურნალისტი სვამს კითხვას: „ერთი მტკივნეული ნიუანსიც გვაქვს – ჰომოსექსუალური ორიენტაცია ბავშვობიდანვე?“ რესპონდენტი უპასუხებს: „ყველა ქვეყანაში 1-2 პროცენტი განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანია. ეს გადახრაა. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა ესაჭიროებათ მათ და მშობლებსაც“.**

ახლავე, უიწილბიწილოდ ვაღიარებთ – დაგვიქცევია ქვეყანა! მაგრამ მაინც გადავხედოთ ქარტიის დასაბუთებას, თუ რატომ მიიჩნევენ, რომ „დავარღვიეთ“.

„ჟურნალისტმა სექსუალური უმცირესობის თემაზე საუბრისას გამოიყენა უარყოფითი შეფასებები: „ერთი მტკივნეული ნიუანსიც გვაქვს, ჰომოსექსუალიზმი...“

ამავე დროს რესპონდენტს პასუხს არ აზუსტებინებს: „ყველა ქვეყანაში 1-2 პროცენტი განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანია. ეს გადახრაა...“

ამ სტატიით ჟურნალისტი ხელს უწყობს არასწორი ინფორმაციის ტირაჟირებას და სიძულვილის პროპაგანდას. ჯერ კიდევ 1990 წელს „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ“ ცვლილებები შეიტანა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში და ჰომოსექსუალობა დაავადებათა სიიდან ამოიღო.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველივე დებულება ამბობს, რომ ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

თურმე, როცა ჟურნალისტმა სექსუალური უმცირესობების თემაზე ლაპარაკისას გამოიყენა **„უარყოფითი შეფასება“ („ერთი მტკივნეული ნიუანსი“),** მას დიდი, მიუტევებელი შეცდომა დაუშვია, ამით **„ხელი შეუწყვია არასწორი ინფორმაციის ტირაჟირებისა და სიძულვილის პროპაგანდისთვის“.**

ქალბატონო თამარ, ჟურნალისტს პედერასტობის შესახებ (რაც აზრობრივად, თავის თავში მოიცავს ლესბოსელობას) უნდა ეთქვა არა **„ერთი მტკივნეული ნიუანსი“, არამედ „ერთი სასიხარულო, ძვირფასი, იმედისმომცემი, ერისა და ქვეყნის საამო ნიუანსი“, ხომ?**

არასწორი ინფორმაცია, რომ **„ყველა ქვეყანაში, მოსახლეობის 1-2 პროცენტი განსხვავებული ორიენტაციისაა და მათაც და მათ მშობლებსაც მხარდაჭერა ესაჭიროებათ“, არა?**

რა ვქნათ, არასამთავრობო ქალბატონო, იმის გამო, რომ თქვენმა ქარტიამ და გაეროს ბავშვთა ფონდმა რაღაც განაცხადეთ, უფლებას გვართმევთ, რომ ვთქვათ: **ჰომოსექსუალიზმი, ლესბოსელობა არაბუნებრივი გადახრა და ადამიანურობის, ზნეობის დამახინჯებაა?**

მოკლედ, უნდა ვწეროთ **პედერასტი ნაზი, სათუთი არსებაა, გული არ ატკინო, შე ნადირო!** ასე ხომ, თამრიკო!

ვინ მოგიწვიათ თქვენ არსთა გამრიგედ და არბიტრად? რა უფლებით გვიწყობთ მონიტორინგებს და მოითხოვთ, განვიხილოთ თქვენი სასაცილო განცხადება და „მოვახდინოთ რეაგირება“? შედეგები გვაცნობეთო, გვიბრძანებთ, **კი ბატონო, ეს წერილი ჩათვალეთ ჩვენს რეაგირებად. და ისიც მიითვალეთ, რომ არც „სამომავლო რეკომენდაციისთვის“ გავითვალისწინებთ თქვენს უმართებულო შენიშვნებს, რადგან არ მიგვაჩნია გასათვალისწინებლად არც ამჯერად და არც სამომავლოდ“.**

მაგრამ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ ჰომოსექსუალიზმის უფლებადამცველობით როდი კმაყოფილდება. კიდევ ერთ ბოროტებაში გვამხელს:

„ამავე ინტერვიუში ჟურნალისტი ამბობს: „მართალია მსოფლიო ებრძვის სიმსუქნეს, მაგრამ ჩვენთან მაინც ლოყებლაჟღაჟა, ჩასუქებული პატარები მოსწონთ“.

გაეროს ბავშვთა ფონდის სახელძღვანელო პრინციპების შესაბამისად ბავშვებზე რეპორტაჟის მომზადებისას:

უფრო მეტად ნუღარ მოახდენთ ბავშვის სტიგმატიზაციას; თავი აარიდეთ კატეგორიზაციას ან სიუჟეტის ისეთ აღწერას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვებისთვის სამაგიეროს გადახდა, დამატებითი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება, დამცირება, დისკრიმინაცია ან ადგილობრივი საზოგადოების მიერ გარიყვა“.

ასეთ დროს კახეთში ზუსტად და ლაკონურად იტყვიან ხოლმე, **„შენ ალაოდ ხომ არ ხარო“,** ან უფრო მოკვეთილად, **„თავი ხომ არაფერზე მიგირტყამსო“.**

ქალბატონო თამარ, რომ მოგვდექით და „ჭკუას გვასწავლით“, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია, ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვთა შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის.

რის საფუძველზე, კაცო, ის რომ ვთქვით, „მართალია მთელი მსოფლიო ებრძვის სიმსუქნეს, მაგრამ ჩვენთან მაინც ლოყებლაჟღაჟა, ჩასუქებული პატარები მოსწონთო“?

მოსწონთ და ძალაა! ისე, კაცმა რომ თქვას, ყბა-ყბაში გაცმული ბავშვი მართლაც მძიმე სანახავია.

ეს არის **„ბავშვის სტიგმატიზაცია, მისი დამცირება და დისკრიმინაცია“,** რაც ამ ბავშვს შურისძიებისა და რევოლუციისკენ უბიძგებს? რამდენ გოგონასა და ბიჭუკელასთვის გვიჩქმეტია ლოყაზე, „შე ბუთხუზაო“, ე.ი. დაგვისტიგმატიზებია და დაგვიკატეგორიზებია, ძვირფასო ქალბატონო?

იმაზე გამოიდეთ თავი, იმ ბუთხუზების ათასობით თანატოლებს ყურში ლანდი რომ გასდის უჭმელობით და მათ მშობლებს კუჭი ხერხემალზე აქვთ მიკრული. გაითვალისწინეთ, იმ გამჭვირვალეყურებიან, სწორედ რომ საზოგადოებისგან გარიყულ ბავშვთაგან თავიანთი უსიხარულო, გაძაღლებული ყოფისთვის ბევრნი ნამდვილად შედგებიან საომარ ბილიკზე და შურს იძიებენ, და არა მგონია, თქვენმა წესდებებმა შეუცვალონ ნირი.

ამით თქმა მინდოდა თქვენთვის, სექსუალური ორიენტაციის გათანაბრებისთვის დაუღალავო მებრძოლო ქალბატონო თამარ!

სხვაფრივ კი დავშთები თქვენი
პატივისმცემელი და ა. შ. და ა. შ.

ალეკო ასლანიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

დავით ზილფიმიანმა „პირველი სტერეო“ დაიბრუნა

დაახლოებით წელიწადნახევრის შემდეგ, ზილფიმიანმა ტელეკომპანიის კარი პირველად შეაღო, მანამდე კი „პირველი სტერეოს“ დალუქულ კარს ლუქი პროკურატურის წარმომადგენელმა ახსნა. ადგილზე იმყოფებოდნენ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები და ექსპერტები.

დავით ზილფიმიანი ტელეკომპანიაში შესვლის შემდეგ იქ არსებულ ვითარებას გაეცნო, სტუდიები, საწყობები და ტელეკომპანიის ოთახები დაათვალიერა. მისი თქმით, წაღებულია ტექნიკა და ყველაფერი დალეწილია. ეს არის ბარბაროსული აქტი. ტექნიკა წაღებულია, ყველაფერი დალეწილია, ცხადია, რომ სამართლებრივი გზით, როგორც დირექტორობა დავიბრუნეთ ისე დავიბრუნებთ ყველაფერს, – აღნიშნა ზილფიმიანმა.

მისივე თქმით, უცნობია, როდის მოხერხდება კომპანიის ამუშავება, რადგან აღარ არსებობს ტექნიკა და გაფუჭებულია ტელეკომპანიაში ყველაფერი. როგორც მან აღნიშნა, ის ეცდება, რომ ტელეცენტრს სიგნალი რაც შეიძლება მალე მიეწოდოს. თუმცა დასძინა, რომ ტელეკომპანია, საიდანღაც ახლაც უკანონოდ მაუწყებლობს.

ინტერპრესი

დანაშაული და სასჯელი

გაუპატიურება, ცემა-წამება ჯგუფურად, მრავალგზის, სასტიკად, რეზინის ხელკეტით, სავარჯიშო ბალიშით, პლასტმასის მილით, წყლით სავსე ბოთლით, წყლიან ჭურჭელში თავის ჩაყოფით, სილის ჭამით, სავარჯიშო ძელზე დაკიდებით, ელექტროშოკით წამების სხვადასხვა მეთოდები, საიდუმლო თანამშრომლობაზე უარის თქმის ან რაიმეზე პროტესტის გამოხატვის შემთხვევაში პატიმართა მასობრივი დასჯით; სამედიცინო დახმარების ან ექიმის მოთხოვნის გამო პატიმართა სასტიკად ცემით, კბილების ჩამტვრევით.

იკეტებოდა საკნების ფანჯრები, იკეტებოდა წყალი, ბანაობისას უწყვეტდნენ წყალს და პატიმრები რჩებოდნენ საპნიანები, ცხელი კერძები რამდენიმე წუთში უნდა ეჭამათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღვრევინებდნენ, უძილობა, ჩურჩულის აკრძალვა. გარდა ამისა, არსებობდა ე.წ. წითელი პარასკევი, როდესაც ერთ ოთახში შეჰყავდათ პატიმრები, სცემდნენ, იქიდან გამოყვანილთ ატარებდნენ ხელკეტებით შეიარაღებული სადის თანამშრომლების კორიდორებში, ზოგ შემთხვევაში, საათობით უშვებდნენ ცხელ წყალს, სვამდნენ კარცერში, ნაწამებ პატიმრებს ჭრილობების მორჩენამდე არ ჰქონდათ ლოგინი, ეძინათ ბეტონის იატაკებზე.

ეს დაუწერელი კანონი ქართული რეფორმირებული ციხის ყოველდღიურობა იყო. კანონებს აქ ციხის ადმინისტრაცია აწესებდა, ისინი იღებდნენ გადაწყვეტილებას, ვინ როგორ და რა ფორმით უნდა ეწამებინათ. პატიმრების სასტიკი წამების შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ მაშინ გავრცელდა, როდესაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ ბაჩო ახალაია, ხოლო მის მოადგილედ მეგის ქარდავა დაინიშნა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ახალაიამ მისი მეგობრებით და ნათესავებით დააკომპლექტა, რომლებიც განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ.

მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ ციხის სკანდალური კადრები იხილა, ამ დანაშაულისთვის 17 პირი დააკავეს. მათ ბრალი პატიმრების წამებაში, არადამიანურ მოპყრობაში და გაუპატიურებაში ედებოდათ. მაგრამ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უმძიმეს დანაშაულში ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა. ამის მიზეზად პროკურატურა განმარტავს, რომ მათ ითანამშრომლეს გამოძიებასთან, რამაც გამოძიებას ამ საქმის გახსნის საშუალება მისცა. ვის წინააღმდეგ მისცეს მათ ჩვენება, ამასთან დაკავშირებით არჩილ კბილაშვილის უწყებაში არ საუბრობენ.

For.ge გთავაზობთ იმ ბრალდებულების ვინაობას, რომლებთანაც პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გააფორმა: „ბუბუს“ მეტსახელით ცნობილ **ბორის ფარულავას** და გლდანის მე-8 დაწესებულების თანამშრომელს **მანუჩარ ლომთაძეს** 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ამ პირებმა სასჯელი უკვე მოიხადეს და თავისუფლები არიან. საპროცესო შეთანხმებით სასჯელი 5 წლამდე შეუმცირდა „ბასტის“ მეტსახელით ცნობილ **ლევან ფხალაძეს.**

სასჯელზე გარიგება კიდევ 5 პირის მიმართ განხორციელდა, კერძოდ, **მამუკა ჩხიტუნიძეს** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და 6 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება; **კობა ჩიკვატიას** განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით; **გურამ ცომაიას** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის და 6 თვის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით; **ალექსანდრე ჯანჯღავას** და **დავით მეცხოვრიშვილს** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

საპროცესო შეთანხმება არ გაფორმებულა შემდეგ პირებთან: **დავით ხუჭუას** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 3 თვის ვადით და 1 წლით და 6 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, ასევე დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით; **გაგა მკურნალიძეს** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის, 4 თვის და 15 დღის ვადით, და 1 წლის და 6 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, ასევე განესაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. **გიორგი კვარაცხელიას** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, **ლევან ფურცხვანიძეს** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის და 9 თვის ვადით და 1 წლის და 6 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

ვიქტორ ყაჭეიშვილს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 3 თვის ვადით და 1 წლის და 6 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, ასევე განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. „სადიზმის“ მეტსახელად ცნობილ **ოლეგ ფაცაციას** განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 წლის და 9 თვის ვადით და 1 წლის და 6 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება; სასამართლომ ორი პირის: **თემურ ჭაჭიას** და **მათე ელბაქიძის** მიმართ წარდგენილი ბრალდება გადააკვალიფიცირა სხვა მუხლზე და მათი მსჯავრდება მოხდა დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის. სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 1 წლის და 6 თვის ვადით და ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, ხოლო **ვლადიმერ ბედუკაძე,** საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე, მიუხედავად მისი მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტის არსებობისა, „განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ“ საპროცესო შეთანხმების შედეგად, სრულად გათავისუფლდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-8 პუნქტი, რომელიც კრძალავს 144[1] (წამება), 144[2] (წამების მუქარა) და 144[3] (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩამდენი პირის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას. მთავარ პროკურორთან ერთად კანონმდებლობის მოთხოვნები დაარღვია იმ მოსამართლემაც, რომელმაც არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენით დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე მოსამართლეს უნდა დაებრუნებინა საქმე პროკურორისათვის, ვინაიდან დარღვეული იყო საპროცესო კოდექსის 21-ე თავის მოთხოვნები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული კანონდარღვევა არ არის საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენის გაუქმების საფუძველი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხოლოდ ერთ შემთხვევას ითვალისწინებს, როდესაც პროკურატურას შეუძლია საპროცესო შეთანხმების გაუქმების მოთხოვნა და ეს არის 215-ე მუხლის მე-4 ნაწილი. ეს ნორმა აძლევს პროკურატურას უფლებას, ზემდგომ სასამართლოში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების გაუქმების თაობაზე, თუკი მსჯავრდებულმა დაარღვია ამ შეთანხმებით ნაკისრი რაიმე პირობა.

მთავარი პროკურატურის პოზიციას არ იზიარებს საიას თავმჯდომარე კახა კოჟორიძე, როგორც ის for.ge-სთან საუბრისას განმარტავს, თუკი პროკურატურამ მათი ჩვენების საფუძველზე გამოავლინა სისტემური დანაშაული, რატომ არ იცის საზოგადოებამ ვინ არიან ის მაღალი თანამდებობის პირები, ვისზეც პროკურატურა გავიდა.

„ჩვენ არ ვიცით ის მაღალი თანამდებობის პირები, ვისზეც გავიდა პროკურატურა. არ ვიცით იმ 17 ადამიანის გარდა, ვინ არის პასუხისმგებლობაში მიცემული. არ ვიცით, რა შინაარსის ჩვენება მისცეს. შესაბამისად, ჩნდება ლოგიკური კითხვები, რამდენად სწორად მოხდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება იმ უკიდურესად მძიმე დანაშაულებზე. პროკურატურიდან რომ ყოფილიყო ახსნა, რომ მათი თანამშრომლობის შედეგად 17-ის ნაცვლად 117 პირი გამოიკვეთა, მერე შეიძლება ამის გამართლება. მაგრამ ახლა, როდესაც 17 პირის გარდა, არავის არაა დასჯილი, არც მაღალი თანამდებობის პირები ვიცით, ვინ მისცეს პასუხისგებაში, ვერ გავიზიარებ პროკურატურის პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით“, – აცხადებს კახა კოჟორიძე.

იურისტი ლია მუხაშავრია ამბობს, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არის უმსგავსი და ამ უმსგავს ინსტიტუტს, ძალიან უმსგავსი ფორმით იყენებს საქართველოს პროკურატურა.

„17 უმძიმეს დანაშაულში ბრალდებული პირი, რამაც ქვეყანა შეძრა, ძალიან იოლად დაუძვრა მართლმსაჯულებას. ის ადამიანები, ვინც ამათი წყალობით გამოიარეს უმძიმესი წამება და ჯოჯოხეთი, უკვე მოკლებული არიან ყოველგვარ შესაძლებლობას, რომ რამე იღონონ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. დაზარალებულები მას ვერ გაასაჩივრებენ იმიტომ, რომ პროკურატურამ ასე დაასრულა ეს საქმე.

ჩვენ არ ვიცით სხვაზე ვისზე გავიდა კიდევ გამოძიება. თუ 17 ადამიანმა ასეთი დახმარება და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია პროკურატურას, მინიმუმ 10-ჯერ მეტი უნდა ჰყავდეს დაკავებული იგივე ბრალდებით, მაგრამ ასე არაა. ვინ არიან ისინი, რომლებიც დაისჯებიან ამათი ჩვენების საფუძველზე, რამდენი არიან, რა რანგის თანამშრომლები არიან?

ამ განაჩენით დაკავებულია მე-8 დაწესებულების ხელმძღვანელი გაგა მკურნალიძე. მე არ მესმის, თუკი დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირი არის პასუხისგებაში მიცემული და დაიდო მასთან საპროცესო, მაშინ მინისტრი და მისი მოადგილეები რატომ არ არიან პასუხისგებაში მიცემული? რა საჭიროა საპროცესო შეთანხმებით ვიღაცის ჩვენება იმისათვის, რომ დაამტკიცო მინისტრი დანაშაულს სჩადის თუ არა“,– აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ლია მუხაშავრია.

სამართალმცოდნე კახი კახიშვილი for.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ არის საფუძვლიანი ეჭვი ვივარაუდოთ, რომ ამ სახის დანაშაული ხდებოდა ყოველდღიურად. შესაბამისად, საინტერესოა, რის საფუძველზე გააფორმა საპროცესო შეთანხმება ბრალდებულებთან პროკურატურამ.

„ადამიანები, რომლებიც არადამიანურ მოპყრობაში იყვნენ შემჩნეულები, რომელთა მოქმედებებში პირდაპირ იკვეთება წამებისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ნიშნები, გადაურჩნენ ზომიერ მართლმსაჯულებას, მათ მიმართ გამოიყენეს ძალიან ლმობიერი სასჯელი. საინტერესოა საქმის მასალების დეტალები – რა კვალიფიკაცია მიანიჭა გამოძიებამ და რა კვალიფიკაციის მინიჭების საშუალება ჰქონდა გამოძიებას? ხომ არ გვაქვს სახეზე ფაქტი, როდესაც გამოძიებას შეეძლო უფრო ადეკვატური კვალიფიკაცია მიეცა დანაშაულისთვის, მაგრამ ამ დროს ძალიან ზომიერი მუხლებით დაკმაყოფილდა გამოძიება“, – აღნიშნა კახი კახიშვილმა.

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი თვლის, რომ ეს არის სისტემური პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია გამოძიების საბჭოთა მეთოდიკაზე და ადამიანის მიმართ საბჭოთა დამოკიდებულებაზე.

„საბჭოთა დამოკიდებულება და აზროვნება ასეთი იყო – ადამიანი ყოველთვის დამნაშავეა სახელმწიფოს წინააღმდეგ. პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო მოქმედებდნენ ერთ ხმაში, იგივე ხდება დღესაც. საერთოდ, ჩვენი პროკურატურა საერთაშორისო სტანდარტებს არ იცნობს, ალბათ არ წაუკითხავთ. წამებაში ბრალდებულ პირებთან არანაირი საპროცესო შეთანხმება და შეღავათები არ ვრცელდება. პრაქტიკულად ირკვევა, რომ თემა გამოიძიეს და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ორგანიზატორი იყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე. თუ დაასრულა პროკურატურამ გამოძიება, ეს უკვე ძალიან დიდ ეჭვს ბადებს, რომ სადღაც რაღაც საკითხებში გარიგება მოხდა“, – ამბობს for.ge-სთან საუბრისას მარიამ ჯიშკარიანი.

თამთა ქარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

სასულიერო პირების სასამართლო გადაიდო

17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებული ბრალდებულების, მათ შორის სასულიერო პირების, საქმეზე წინასასამართლო სხდომა 23 ივლისისთვის გადაიდო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ აღნიშნული გადაწყვეტილება ერთ-ერთი ბრალდებულის ტიტან დავრიშიანის გამოუცხადებლობის გამო მიიღო.

როგორც პროცესის გადადების შემდეგ ჟურნალისტებს ბრალდებულების ადვოკატებმა განუცხადეს, ტიტან დავრიშიანი სხვა საქმესთან დაკავშირებით პატიმრობაში იმყოფება და პროცესზე მისი ბადრაგირება ვერ მოხერხდა.

პროცესის გადადების შემდეგ ჟურნალისტებთან მცირე კომენტარი გააკეთა ერთ-ერთმა ბრალდებულმა სასულიერო პირმა მამა ანთიმოზ ბიჩინაშვილმა, რომელიც თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. მან აღნიშნა, რომ აპირებს სახალხო დამცველს მიმართოს იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომელიც მის მიმართ მედიის საშუალებით ვრცელდება.

ანთიმოზ ბიჩინაშვილის გარდა, 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის საფუძველზე ბრალდებულია კიდევ ოთხი პირი, მათ შორის ერთი ასევე სასულიერო პირია. თბილისის საქალაქო სასამართლოში, სასულიერო პირების სასამართლო პროცესისთვის უფლებადამცველი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. გაიმართა მცირე აქციაც.

ინტერპრესი

◎ ვითარება

„ახლებისა“ და „ძველების“ დაპირისპირება საგზაო დეპარტამენტში

ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაახლოებით 2 თვის წინათ დაინიშნა **დავით შავლიაშვილი.** მას ადგილზე მოადგილის სტატუსით დახვდა ძველი კადრი – **გურამ ვახტანგიშვილი.** ამ უკანასკნელის განცხადებით ახალმა უფროსმა მოსვლისთანავე ყველა თანამშრომელს მოსთხოვა განცხადების დაწერა სამსახურიდან წასვლის თაობაზე. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოთხოვნას დღემდე არ ემორჩილება ნაცების გადმონაშთი და ჩვეულებრივად განაგრძობს მუშაობას.

რაც დეპარტამენტის თავჯდომარის პოსტზე დაინიშნა, 28 წლის დავით შავლიაშვილი სამსახურში პირველ საათზე ადრე არ მობრძანდება, ორი თვის განმავლობაში ზედიზედ ორი დღე არ ყოფილა სამსახურში, ჩასაფრებულის პოზიციიდან აცხადებს ვახტანგიშვილი და იქვე განაგრძობს, რომ ახალი უფროსი იურისტია, საგზაო ინფრასტრუქტურაზე წარმოდგენა არა აქვს. მას საერთოდ არა აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება. საგზაო ინფრასტრუქტურის ქომაგი ვახტანგიშვილი ამბობს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრა ჰქონდა ინსფრასტრუქტურის მინისტრთან, მის მოადგილეებთან. როდესაც მისთვის სასურველი ქმედებები არ განახორციელდა, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეს **ზურაბ ტყემალაძესაც** შეხვდა. ვოიაჟი აქაც უშედეგო გამოდგა.

შედეგის მისაღწევად ვახტანგიშვილმა საქმეში „მძიმე არტილერიის“, პოლიტიკოსების ჩართვა გადაწყვიტა და პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე **კახა კუკავასთან** ერთად ბრიფინგი ჩაატარა. საც კუკავამ თავმჯდომარის მოადგილის პრობლემის შეფასება ერთ ფრაზაში ჩაატია – ეს არის უკანონობა და შავლიაშვილი თანამდებობიდან დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდესო. შემდეგ კი პოლიტიკოსი ზოგადსაკაცობრიო საკითხებით დაკავდა, მოუწოდა რა პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტსა და სახალხო დამცველის აპარატს, შეიმუშაონ და მოამზადონ დასკვნა თუ რამდენი თანამშრომელი გათავისუფლდა სამსახურიდან ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, რა ხდება საჯარო სამსახურებში ამ კუთხით და ა. შ. მოკლედ ვახტანგიშვილის გაჭირვება აღარავის გახსენებია.

პარტიის თავმჯდომარისა და დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ბრალდებებს უმალ გამოეხმაურა საგზაო დეპარტამენტი. განცხადებაში ნათქვამია, **რომ სტრუქტურაში რეორგანიზაციის პროცესი დასრულებულია და სამსახურიდან გათავისუფლების ან წასვლის განცხადების დაწერის მოთხოვნის ფაქტები არ ფიქსირდება. განმცხადებლები ხაზგასმით აცხადებენ, რომ წამოყენებული ბრალდებების მიზანი საზოგადოების დეზინფორმაცია და ვახტანგიშვილის მიმართ არსებული კითხვებისაგან თავის არიდების მცდელობაა.**

რა არის დაპირისპირების რეალური მიზეზი?

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გურამ ვახტანგიშვილი საგზაო საავტომობილო გზების ადმინისტრირებასა და საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის მონიტორინგის სამსახურს კურირებს. ახალი თავმჯდომარის მიერ დანიშვნისთანავე შემოწმდა საგზაო პროექტები, რამაც სერიოზული ეჭვები გააჩინა თავმჯდომარის მოადგილის მიმართ.

ვახტანგიშვილის საკურატორო სამსახურები ანხორციელებენ საავტომობილო გზების მოვლა-შენახვაზე მონიტორინგს, აგრეთვე საგზაო ნიშნებისა და უსაფრთხო მოძრაობაზე სხვადასხვა ღონისძიებებსაც. შავლიაშვილმა სამსახურში მოსვლისთანავე პირადად დაიწყო პროექტების განხორციელების შემოწმება. მონიტორინგის ანალიზმა წარმოაჩინა გზების მოვლა-შენახვის კუთხით პროექტებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან შეუსაბამო ხარვეზები. გამოიკვეთა თანამდებობის პირთა მხრიდან მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების, სამსახურებრივი გულგრილობისა და სხვა სახის დარღვევები, მათ შორის ფინანსურიც.

გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით თავისი უკმაყოფილება სიტყვიერად გამოხატა თავმჯდომარემ ვახტანგიშვილთან. მან კი ჩათვალა, რომ ეს მისი სამსახურიდან განთავისუფლების წინაპირობა უნდა ყოფილიყო. ამის გამო მოადგილემ თავდასხმის პოზიციიდან წინსწრებით, ცრუ ინფორმაციების გავრცელება დაიწყო – ნათქვამია საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის განცხადებაში.

გამოვლენილი დარღვევების შესახებ ეცნობათ შესაბამის ორგანოებს და ტარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. როგორც ჩანს, შიშს დიდი თვალები აქვს. ამიტომაც: გამართა საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ პოლიტიკოსებთან ერთად (სპეციალისტების მოსაზრებით წინმსწრები) პრესკონფერენცია დეპარტამენტის უფროსის წინააღმდეგ.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

შეკვეთილი მკვლელობა გახსნილია

ინფორმაციით, აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს და ხულოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა უზბეკეთის მოქალაქე ხაეტ რ. და საქართველოს მოქალაქე კახა დ. დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისთვის, ხოლო ანზორ დ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

ამავე დანაშაულში მხილებულია უზბეკეთის მოქალაქე ნარგიზბეგიმ რ, რომელმაც საქართველო 31 მაისს დატოვა.

შსს-ს ცნობით, სამართალდამცველებმა 2013 წლის 3 ივლისს ხულოს რაიონის სოფელ ბეშუმთან, ტყეში ახალგაზრდა ქალის გვამი აღმოაჩინეს. ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად დადგინდა, რომ გარდაცვლილი უზბეკეთის მოქალაქე, 1987 წელს დაბადებული რაიხონ კ. იყო.

სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დანაშაულში მხილებულ ნარგიზბეგიმ რ-ს და გარდაცვლილს გარკვეული პერიოდის განმავლობაში უთანხმოება ჰქონდათ. ნარგიზბეგიმ რ-მ შურისძიების მიზნით ბრალდებულ ხაეტ რ-ს და კახა დ-ს რაიხონ კ-ს მკვლელობა დაუკვეთა, რისთვისაც მათ 2000 აშშ დოლარი გადაუხადა.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა 2013 წლის 22 მაისს ანზორ დ-ს კუთვნილი ტაქსით რაიხონ კ. მოტყუებით წაიყვანეს და ხულოს რაიონის სოფელ ბეშუმთან ტყეში მოკლეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები საგამოძიებო-სამძებრო ღონისძიებების შედეგად 12 ივლისს ბათუმში დააკავეს. გამოძიება დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე მიმდინარეობს.

ინტერპრესი

◎ დაზღვევა

სილარიბემ კაცი რომ არ იმსხვერპლოს...

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, დაზღვევა, როგორი სახისაც არ უნდა იყოს იგი, ჯანმრთელობის, ქონების, სტიქიური უბედურებისგან დაცვისა და ა.შ. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროინდელ ეგრეთწოდებულ „ლატარიების“ სისტემას ჰგავს, როცა ერთი კონკრეტული დაწესებულების თანამშრომლები ყოველთვიურად გარკვეულ თანხას დებდნენ საერთო სალაროში, შემდგომ კი, წინასწარ განსაზღვრული თანმიმდევრობით, ერთიანად, მონაწილეთა რიცხვის შესაბამისი ოდენობით იღებდნენ.

განსხვავება ისაა, რომ დაზღვევა მასში მონაწილეთა რიცხოვნობაზე არაა დამოკიდებული, მისი მომსახურების ფარგლები დაზღვეულის მიერ შერჩეული პაკეტის საფასურითა და იმ პირობებითაა განსაზღვრული, რომლებსაც სადაზღვევო კომპანია კლიენტს სთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ საქართველოში 17 კერძო სადაზღვევო კომპანია მოქმედებს, რომლებიც მომხმარებელს, სხვა ტიპის დაზღვევებთან ერთად, სამედიცინო დაზღვევასაც სთავაზობენ ე.წ., ბაზარი ბოლო დრომდე ჯეროვნად ათვისებული არ იყო. მიზეზი, დარწმუნებული ვართ, ყველასთვის სავსებით გასაგებია: საზოგადოების უდიდესი ქონებრივი და ფინანსური პოლარიზება, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ხელმოკლეობა ხალხს კერძო სამედიცინო დაზღვევის მომსახურებით სარგებლობის ნაკლებ შესაძლებლობას აძლევდა. თუმცა ვითარება საგრძნობლად გამოსწორდა 1 ივლისიდან სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის ამოქმედების დღიდან აღნიშნული პროგრამის უდიდეს სოციალურ მნიშვნელობას ის გარემოება განსაზღვრავს, რომ ხელმოკლე და, მით უმეტეს, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის გარდა, რომლისთვისაც ვერც სხვადასხვა სახეობის შემწეობებია პანაცეა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორების ეს ერთადერთი რეალური საშუალებაა.

რაც შეეხება კონკრეტულად უკვე ამოქმედებულ საყოველთაო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამულ სისტემას, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, მას უდიდესი ეკონომიკური და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სოციალური ეფექტი აქვს, რაც მერე და მერე კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდება. ჩვენ მკითხველს კარგად ახსოვს, რომ, როგორც კი ახალმა ხელისუფლებამ საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის ეტაპობრივად შემოღებაზე დაიწყო კონკრეტული ლაპარაკი, მის ავკარგიანობაზე, „მოგუდული უკმაყოფილებით“ არაერთი შენიშვნა გამოვთქვი. ამის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამის ამოქმედების შემდგომ ქვეყანაში სადაზღვევო ბაზრის შემცირება იყო მოსალოდნელი. ამის პასუხად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ეს ასე არ მოხდებოდა, თუმცა ახლა ირკვევა – და ამას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ანგარიშიც მოწმობს – რომ ბაზარი, რეალურად, შემცირდა. ამის მიზეზი სავსებით გასაგებია, რადგან სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა ამ სფეროში საკვანძო ელემენტებს მოიცავს და, მისი, ასე ვთქვათ, „უფასო სეგმენტი“, ძირითადად, არაძვირად ღირებულ სამედიცინო მომსახურებას მოიცავს. დანარჩენ შემთხვევაში კი გადასახადი უკვე წილობრივად ნაწილდება პროგრამასა და პაციენტს შორის, თუმცა კი სახელმწიფო დაფინანსება ამ შემთხვევაშიც შეუდარებლად დიდია.

აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტები მთავრობის კერძო სადაზღვევო სექტორის შენარჩუნების რეკომენდაციას აძლევენ, თუმცა კი იმასაც ამატებენ, რომ მათ მიმართ მოთხოვნა უნდა გაძლიერდეს. მისიის სპეციალისტები ასევე ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ **სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის ამჟამად მოქმედი პროგრამა ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფს მედიკამენტოზურ საშუალებებზე მაღალი ფასების დაწევას, ანდა ნაწილობრივი თანადაფინანსების მეტად მნიშვნელოვან, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, საკვანძო საკითხების მოგვარებას.**

საერთაშორისო ექსპერტებს არც ის გარემოება გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ ბოლო წლების მანძილზე კერძო სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც დროდადრო სახელმწიფო დაფინანსებით ამა თუ იმ კომპანიას წარმართავდნენ, ხშირად არა იმდენად მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით და მისი დაბალფასიანი, ანდა შეღავათიანი პირობით ფარმაცევტული პროდუქციის უზრუნველყოფით, არამედ სახელმწიფო სახსრების უფრო „ეფექტიანად ათვისებით“ იყვნენ დაკავებული. ამის არაერთი მაგალითი არსებობს, თანაც არა მარტო სამედიცინო დაზღვევის სფეროში, რის შესახებ საზოგადოება კარგადაა ინფორმირებული. თავად ჯანდაცვის პოლისებიდან კი ხშირად დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე იმდენად დიდი თანხები ჩამოიწერებოდა ხოლმე, რომ ძირითადი მკურნალობის ხარჯის გაწევა თავად პაციენტს, ანდა ავადმყოფის ოჯახს უხდებოდა.

სწორედ ამ გარემოებითაა გამოწვეული საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ექსპერტების რეკომენდაცია ამ სფეროში მოღვაწე კომპანიების პროცედურებისა და მოთხოვნების გაძლიერების თაობაზე, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანია.

ოთარ ტურაბელიძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ნინო ბურჯანაძე მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებას გვპირდება

პარლამენტის ექსსპიკერმა საქართველოში პრეზიდენტის არჩევნებში ინტრიგა შეიტანა

15 ივლისს საქართველოში პრეზიდენტის პოსტის წინასაარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში შევიდა — თავად კენჭისყრა 27 ოქტომბერს გაიმართება. ორშაბათს ვიცე-პრემიერის — განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტი დატოვა პრეზიდენტობის კანდიდატმა მმართველი კოალიციიდან „ქართული ოცნება“ გიორგი მარგველაშვილმა, რათა დაიწყოს ამომრჩევლებთან შეხვედრები. წინა დღით მან არსებითად გაზარდა სკოლების დირექტორების ხელფასები, მანამდე კი — პედაგოგების.

მაგრამ სოციალური გამოკითხვები გვიჩვენებენ, რომ დიდია 10 ნოემბერს მეორე ტურის გამართვის ალბათობა, ვინაიდან, ჯერჯერობით, ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ მოაგროვა ხმების 50 პროცენტზე მეტი. ამის შესახებ მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მონაცემები რომლებიც, გაზეთის აზრით, ოფიციალურად გამოქვეყნდება 15 ივლისს.

მაგრამ პრეზიდენტის პოსტის მაძიებელთა პოპულარობის მაჩვენებლებმა უკვე გაჟონა ადგილობრივ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ძირითად კანდიდატთა რეიტინგი ასეთია: მარგველაშვილი — 35 პროცენტი, პარლამენტის ექსსპიკერი ნინო ბურჯანაძე („დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“), — 15 პროცენტი, და პრეზიდენტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სავარაუდო წარმომადგენელი, დეპუტატი დავით ბაქრაძე — სულ რაღაც 6 პროცენტი. ამ დროს გამოკითხვის მონაწილეთა დაახლოებით 30 პროცენტი, ჯერჯერობით, ვერ გარკვეულა თავის არჩევანში.

„ქართულ ოცნებაში“ მიაჩნიათ, რომ მაინც შეძლებენ აამაღლონ მარგველაშვილის რეიტინგი არჩევნებისათვის და დაამთავრონ არჩევნები პირველსავე ტურში.

მაგრამ ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც უკვე შეიტანა ინტრიგა საპრეზიდენტო რბოლაში, ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ ეჭვი არ ეპარება თავის გამარჯვებაში.

— სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების დროს მეორე ტური იქნება აუცილებლად, და მე მას მოვიგებ, — თქვა მან.

მისი სიტყვებით, ამ ეტაპზე „დემოკრატიული მოძრაობის“ საკუთარი გამოკითხვებიც დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა, ან ოდნავ უფრო მაღალიც.

— „ქართული ოცნების“ მიერ დაპირებული სამართლიანობის აღდგენის პროცესი გაჭირვებით მიიწევს წინ. გამარჯვების შემთხვევაში მე ყველაფერს გავაკეთებ, რათა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებრივი სისტემა, სამართლიანად იქნეს გამოძიებული და დაგმობილი, — აღნიშნა ბურჯანაძემ, — **ამას ვამბობ, როგორც პროფესიონალი იურისტი. დარწმუნებული ვარ, რომ არჩევითობა მიგვიყვანს სააკაშვილის დაპატიმრებამდე.**

ამას გარდა, მისი აზრით, თუ პრეზიდენტი იქნება არა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, ეს კარგია ხელისუფლების დემონოპოლიზაციის თვალსაზრისით.

— მე არ მაოცებს ბურჯანაძის მაღალი რეიტინგი, — უთხრა ჩვენს გაზეთს საქართველოს დამოუკიდებელი ექსპერტების კლუბის წევრმა რამაზ საყვარელიძემ. **— გამოცდილი პოლიტიკოსია. მან დაიკავა რეფორმების ტემპების უკმაყოფილოთა ნიში. ამას გარდა, იგი მიიღებს იმათ ხმებსაც, ვინც „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგია.**

მეორე ტურის გამართვის შემთხვევაში საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია და თანამდებობის დაკავება გადაიდება კიდევ სამი კვირით. მაშინ აღსრულდება მიხეილ სააკაშვილის ოცნება, — ეფექტიანად დატოვოს ვილნიუსში ევროკავშირის სამიტის შემდეგ თავისი პოსტი ნოემბრის ბოლოს. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ იქ ამჟამინდელი პრეზიდენტი შეეცდება ისაუბროს, რომ „ქართული ოცნება“ ღუპავს მის რეფორმებს.

— სააკაშვილმა უკვე იმდენი ზიანი მიაყენა საკუთარ ქვეყანას ასეთი განცხადებებით, რომ კიდევ ერთი ვიზიტისგან დრამა არ იქნება, — ამბობს საყვარელიძე, — **თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები, ამ პროცესისადმი პრეტენზიების უქონლობა საერთაშორისო გაერთიანების მხრიდან იქნება „ქართული ოცნების“ საუკეთესო პასუხი სააკაშვილისა და იმათ ნებისმიერ ბრალდებაზე, ვინც მას უჭერს მხარს საქართველოს ფარგლებს გარეთ.**

ივლისის ბოლოს მთავრდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერიზი. პრეზიდენტობის კანდიდატი ამ მოძრაობიდან არჩეული იქნება ოთხი პრეტენდენტიდან, რომლებიც საქართველოს პარლამენტის დეპუტატები არიან. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უკეთესი შანსი დავით ბაქრაძეს აქვს.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე



სირიის საწყობებზე დარტყმისთვის ისრაელმა გამოიყენა ბაზა თურქეთში

5 ივლისს საჰაერო შეტაკების დროს სამხედრო საწყობებზე ლატაკიის მახლობლად განადგურდა რუსეთის წარმოების საბრძოლო აღჭურვილობა. ისრაელის ხელისუფლება თავისი სამხედრო საჰაერო ძალების მონაწილეობას ამ ოპერაციაში უარყოფს.

„ფემენის“ ლიდერი აღმოჩნდა საფრანგეთის მთავარ მარკაზე, როგორც ქვეყნის სიმბოლო

კვირას პრეზიდენტმა ოლანდმა საზოგადოებას წარუდგინა ქვეყნის მთავარი საფოსტო მარკა საფრანგეთის რესპუბლიკის განახლებული სიმბოლოთი — მარიანათი, რომლის ერთ-ერთი სახეც ინა შევჩენკო გახდა. იმას, თუ ვინ გახდა სახე, აღიარა მარკის ავტორმა, მხატვარმა და ფოტოგრაფმა ოლივიე სიაპამ.

„ამოვიყვანთ ჩვენებს“: გერმანიაში გასამართლებულ „რუს ჯაშუშებს“ გაცვლისთვის ამზადებენ

გაცვლის კანდიდატებს შორის გერმანული პრესა ასახელებდა უშიშროების ფედერალური სამსახურის პროლკოვნიკს ვალერი მიხაილოვს, რომელიც რუსეთის ფედერაციაში ჯაშუშობისთვის 18 წელი მიუსაჯეს, ამ დროს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, მოლაპარაკება მიმდინარეობდა ჯერ კიდევ სასამართლომდე ცოლ-ქმარ ანშლაგებზე, მათ შორის მერკერსა და პუტინს შორისაც, მაგრამ კრემლში ამას უარყოფდნენ, ახლა კი გაცვლა, აგენტების ადვოკატების სიტყვებით, შეიძლება მოხდეს „ნებისმიერ მომენტში“.

ამერიკელი მოტომრბოლი დაიმსხვრა საათში 482 კილომეტრი სიჩქარის მიღწევის მცდელობის დროს

2011 წელს ბილ უორნერმა მოდიფიცირებულ „სუპერბაიკზე“ დაამყარა მოტოციკლზე მოძრაობის სიჩქარის რეკორდი — 500 კილომეტრი საათში. მან ასეთი სიჩქარე განავითარა მონაკვეთზე რომლის სიგრძე 2,4 კილომეტრი იყო. ამჯერად მრბოლელი აწარმოებდა რბოლას 1,6 კილომეტრის მანძილზე.

სინაიში ავტობუსი, რომელშიც მუშები იმყოფებოდნენ, აფეთქდა საგზაო ნაღმზე: არის მსხვერპლი

ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, რომ დაიღუპა 20-მდე კაცი. სამედიცინო სამსახურები, ჯერჯერობით, ადასტურებენ სამის დაღუპვას. კიდევ 18 მძიმედაა დაჭრილი. ისინი საავადმყოფოებში არიან გადაყვანილი. როგორც ადგილობრივი ძალოვანები ვარაუდობენ, ასაფეთქებელი მოწყობილობა გათვალისწინებული იყო ცოტა ხნით ადრე გავლილი ჯავშანტექნიკის კოლონისათვის.

ობამამ ციმერმანის გამამართლებელი ვერდიქტით უკმაყოფილოებს მოუნოდა პატივი სცენ კანონებს

„ჩვენ — კანონმორჩილი ხალხი ვართ და ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ თავისი სიტყვა თქვა“,— აღნიშნულია ობამას განცხადებაში. „ახლა, ვთხოვ ყოველ ამერიკელს, პატივი სცეს კანონებს და მოწოდებას სიმშვიდისაკენ 2 მშობლის მხრიდან, რომლებმაც თავისი ახალგაზრდა შვილი დაკარგეს“. იუსტიციის მინისტრი გვპირდება, რომ შეისწავლის საფუძველს შემდგომი შესაძლო სასამართლო განხილვისათვის.

◎ ᲨᲐᲑᲐᲗ-ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

მეგობრებმა გაიხსენეს ნახი...

ᲑᲐᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲐᲕᲘᲓᲐᲠᲐᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲧᲣᲠᲔ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲘᲠᲛᲝᲚᲣᲨᲣᲚ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲝᲙᲠᲗᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲡᲮᲘᲕᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡᲐ, ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲔᲑᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐ, ᲡᲘᲙᲘᲡᲙᲐᲡᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲒᲣᲚᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲦᲠᲛᲐ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲐᲕᲚᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ, ᲐᲛ ᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲨᲔᲛᲧᲣᲠᲔᲗ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲕᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲦᲘᲠᲓᲐ... ᲐᲑᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲐᲠ ᲦᲘᲠᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ, ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ �წᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ“ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲕᲬᲕᲓᲔᲑᲝᲓᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲨᲕᲠᲐᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲡ... ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲞᲝᲔᲢ **ᲜᲐᲮᲘ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐᲡ,** ᲡᲐᲗᲝᲜᲒᲝᲚᲘᲛᲘᲚᲘᲐᲜ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲡ, ᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲡᲬᲠᲘᲑᲓᲘ, ᲘᲥᲕᲔ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ, ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲗ ᲡᲣᲚᲓᲒᲛᲣᲚᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓᲐᲪ ᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ... ᲛᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲣᲚ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠ �გᲣᲠᲐᲛ ᲑᲖᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘᲩᲐᲛᲬᲕᲓᲝᲛ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ ᲙᲘ „ᲛᲝᲓᲐᲛ“ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲚᲝ:

„ᲨᲔᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ
— ᲝᲠᲘ ᲣᲫᲘᲠᲝ ᲜᲐᲞᲠᲐᲚᲘ,
ᲛᲐᲗ ᲨᲔᲛᲐᲧᲕᲐᲠᲔᲡ ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ,
ᲢᲙᲑᲘᲚᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ“.

ᲐᲜᲓᲐ:

„ᲛᲔ ᲒᲐᲜᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ?
ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ, ᲣᲤᲠᲝ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ...“

ᲐᲜᲓᲐ:

ᲛᲔ ᲐᲗᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘ ᲕᲐᲠ,
ᲨᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲘᲛᲔᲢᲔ“.

ᲒᲐᲘᲮᲡᲝᲜᲔ, ᲐᲠᲐ? ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ... ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘᲐ... ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲒᲐᲐᲕᲔᲑᲣᲚ „ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ“, ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲕᲘᲜᲛᲔᲯ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲜᲐᲮᲘ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ? ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲕᲗᲥᲕᲘ, ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲠᲓᲐᲡᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲖᲔ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲛᲐ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲔᲡ ᲜᲐᲮᲘ, ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔ (ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, „ᲑᲔᲑᲠᲔᲑᲡ“), ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲐᲪ ᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲜᲘᲜᲔ, ᲠᲝᲛ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲬᲔᲠᲘᲐ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲙᲐᲚᲛᲐᲠᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲔᲛᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ.

ᲐᲠ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲔᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲔ�გᲝᲑᲐᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲛᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲛᲐ — ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲛᲐ **ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲑᲣᲥᲘᲐᲛ,** ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲛᲐ მდივანმა და ᲞᲝᲔᲢᲛᲐ **ᲚᲘᲜᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.** ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ ᲠᲐ „ᲡᲣᲡᲢᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ“ **ᲙᲐᲮᲛᲔᲒ ᲙᲣᲓᲐᲕᲐᲡᲘ** — ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲜᲐᲮᲘ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ „100 ᲚᲔᲥᲡᲘᲡ“ ᲡᲔᲠᲘᲘᲗ. ᲐᲑᲐ, ᲙᲐᲮᲛᲔᲒᲡ ᲔᲒ ᲨᲔᲔᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ?.. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲜᲐᲮᲘ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐᲡ **„100 ᲚᲔᲥᲡᲘ“,** ᲠᲐᲪ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ.

ᲨᲗᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲘᲧᲝ ᲚᲘᲜᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲜᲐᲮᲘ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲜᲘᲭᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲖᲔ, ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲢᲠᲐ�გᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ. ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲛᲐ ᲔᲚᲓᲘᲜᲝ ᲡᲐᲦᲐᲠᲐᲫᲔ თავისი მსატვრული კითხვით კიდევ უფრო ᲩᲐᲛᲝᲥᲜᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲫᲔᲠᲬᲐ ᲜᲐᲮᲘ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐᲡ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲒᲒᲐᲐᲚᲚᲝᲕᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ.

ᲙᲐᲠᲒᲐ ᲬᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲬᲔᲠᲓᲐ ᲜᲐᲮᲘ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ: **„ᲒᲐᲜᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ? ᲡᲮᲕᲐ, ᲠᲐᲦᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ“.** ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡ ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔ ᲒᲐᲡᲓᲔᲕᲡ ᲗᲐᲜ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚ „100 ᲚᲔᲥᲡᲘᲡ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲘ�კᲘᲗᲮᲝᲗ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲝ!

45 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ — 40 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ...

ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ, ᲒᲐᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-�გᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲬᲧᲓᲘ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲔᲙᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ“ (ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲘᲜᲝᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲬᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ) 1968 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲔᲓᲘᲨᲔᲠ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲗᲐᲜ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲖᲐᲣᲠ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲗᲐᲜ... ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲡ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲔᲕᲔᲠᲔᲑᲐ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲦᲘᲛᲘᲚᲝ ᲓᲐ ᲘᲣᲛᲝᲠᲒᲐᲠᲔᲣᲚᲘᲐ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, „ᲔᲙᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲨᲘ“ ᲛᲔ ᲡᲣᲚ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ �წᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲛᲭᲝᲜᲓᲐ ᲤᲔᲮᲘ, ᲠᲐ ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘᲐ, ᲛᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲝᲓᲐ ᲜᲐᲪᲜᲝᲑ-ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ... ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝ ᲔᲡ 45 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ — 45 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ...

ᲰᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑ ᲐᲛ ᲤᲔᲠᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚ „ᲔᲙᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲡ“, ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲣᲪᲔᲑ �გᲐᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ, 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ 85 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ. 1968 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲒᲘ ᲘᲧᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ, ᲣᲙᲕᲔ ᲣᲮᲝᲛᲝᲓ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲘᲚᲘ...

ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔ, ᲕᲘᲦᲐᲡ ᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲐᲜ ᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲐᲜ ᲨᲘᲒ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ? ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲛᲒᲝᲜᲝ, ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲣᲠᲘᲒᲝ, �გᲐᲓᲐᲕᲑᲔᲭᲓᲝᲗ ᲔᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲩᲕᲔᲜᲡ �გᲐᲖᲔᲗᲘᲡᲨᲘ. ᲜᲐᲮᲝᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲛᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ, ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲞᲘᲠᲦᲘᲛᲘᲚᲘᲐᲜᲘ, ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲐᲜᲘ, 40 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ ᲙᲘᲜᲝᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ.



ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ?.. ᲛᲐᲨ, ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ 45 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ — 40 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ:

— ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ?

— ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ, ᲐᲜ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘ ᲛᲘᲡᲘᲐ.

— ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲗ?

— ᲓᲝᲓᲝ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

— ᲕᲘᲡ „ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲗ“ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲡ ᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ — ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡᲢᲡ, ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲡ, ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲡ ᲗᲣ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲡ?

— ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ.

— ᲕᲘᲡ ᲐᲜᲓᲝᲑᲓᲘᲗ ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ?

— ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐᲡ.

— ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲠᲝᲛᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲓᲠᲔᲙᲘᲚᲔᲑᲐ ᲙᲘᲜᲝᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ?

— ᲛᲔᲠᲐᲑ ᲔᲚᲘᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲡ. ᲡᲐᲡᲘᲐᲗᲘᲗ ᲘᲡᲔᲕ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲜᲝᲨᲘᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ.

— ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲠᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲓᲘᲗ?

— „ᲛᲖᲘᲐᲜᲘ ᲦᲐᲛᲘᲡᲐᲡ“.

— ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ?

— ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ.

— ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ ᲤᲘᲚᲛᲛᲐ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲐ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲐᲜ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲐᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲖᲔ?

— დადებითად — „ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲐᲛ“, ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲐᲓ — „ᲢᲙᲑᲘᲚᲛᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲛ“.

— ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲘᲜᲝᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲖᲔ?

— ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ ᲙᲘᲠᲐ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

— ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲒᲘᲢᲝᲕᲔᲑᲘᲐᲗ ᲙᲘᲜᲝᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲡᲔᲐᲜᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ?

— ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲕᲘᲯᲔᲥᲘ ᲐᲜ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲣᲑᲘᲚᲔᲗᲝᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲐ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲫᲐᲚᲘᲗ ᲛᲐᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗ ᲔᲡ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲩᲐᲛᲘᲓᲔᲜᲘᲐ.

— ᲗᲣ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲒᲕᲜᲐᲮᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲤᲘᲚᲛᲘ?

— ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ.

— ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ �გᲛᲘᲠᲨᲘ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘ?

— ᲖᲣᲠᲘᲙᲔᲚᲐᲨᲘ „ᲛᲔ, ᲑᲔᲑᲘᲐ, ᲘᲚᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ“.

— ᲠᲐᲡ ᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲓᲘᲗ ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲘᲚᲛᲡ“?

— ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ.

ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲤᲘᲪᲐᲠᲘ...

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲢᲔᲚᲔᲐᲠᲮᲘ ᲒᲕᲐᲣᲬᲧᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲪᲮᲔᲗᲝᲑᲐᲐ, ᲡᲢᲣᲓᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲐᲠᲡᲐᲙᲘᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲘᲥᲕᲔ, ᲠᲐ ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘᲐ, ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲐ

◎ წყალბურთი

მეორე რაუნდიც მოიგეს

წლეულს აპრილში წყალბურთელ ვაჟთა ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ რაუნდში საქართველოს ნაკრებმა (ზურაბ ჭუმბურიძე, მარკო ელაჩა, დამირ ცრეპულია, მარკო ელეზი, გალაქტიონ ლაითაძე, ბექა ქავთარაძე, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარინო ფრანიჩევიჩი, ბექა კაპანაძე. მწვრთნელები — ვლადიმერ ისელიძე, იოვან პოპოვიჩი) შინ ბრიტანელებს, ჩეხებს და პოლონელებს სძლია, ხოლო სლოვაკებს დაუზავდა. მას შემდეგ თურქეთსა და თბილისში ორი საერთაშორისო ტურნირი მოიგო, თანაც ისე, რომ ყველა შეხვედრაში წარმატებას მიაღწია. და აი, მორიგი გამარჯვება მალტაზე: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე რაუნდის **D ჯგუფში** ჩვენმა ბიჭებმა ზედიზედ დაამარცხეს ისრაელი — 13:8 (6:2, 1:1, 3:2, 3:3), უკრაინა — 15:8 (5:3, 3:0, 4:2, 3:3), ბელარუსი — 24:7 (6:2, 6:1, 6:2, 6:2), მალტა — 16:12 (3:4, 3:3, 5:1, 5:4) და პირველი ადგილი დაიკავეს. ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ბელარუსი-მალტა 11:10, უკრაინა-ბელარუსი 13:5, ისრაელი-მალტა 4:11, ისრაელი-ბელარუსი 16:3, უკრაინა-მალტა 10:8, უკრაინა-ისრაელი 9:7.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ კონტინენტის პირველობის დაკვნით ეტაპზე მოსახვედრად 23 ნაკრები იბრძვის. მათგან ჩვიდმეტი გუნდი შესარჩევ ტურნირში მონაწილეობს პლეი ოფში გასასვლელი 6 საგზურისთვის. შესარჩევი ეტაპის მე-3 რაუნდი ოქტომბერში გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

D ჯგუფის გათამაშების საბოლოო ცხრილი ასეთია:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
საქართველო	4	4	0	0	68:35	12
უკრაინა	4	3	0	1	40:35	9
მალტა	4	1	0	3	41:41	3
ისრაელი	4	1	0	3	35:36	3
ბელარუსი	4	1	0	3	26:63	3

◎ ჩოგბურთი

წყვილებში იყოჩაღეს

ქართველმა ჩოგბურთელებმა გასულ კვირას წარმატებით ითამაშეს საერთაშორისო შეჯიბრებებში. უპირველესად თბილისელი ოქსანა კალაშნიკოვა გვინდა გამოვყოთ: სტამბოლის 25-ათასიანი ტურნირის წყვილთა თანრიგში იგი უკრაინელ ლუდმილა კიჩენოკთან ერთად ასპარეზობის რეიტინგფავორიტი იყო. ქართულ-უკრაინულმა დუეტმა მეოთხედფინალში მელის სეზერსა (თურქეთი) და ჟამსინა ტინჯიჩს (ბოსნია-ჰერცეგოვინა) სძლია — 6:3, 6:1, ნახევარფინალში ბასაკ ერაიდინისა (თურქეთი) და ელიზავეტა კულიჩკოვას (რუსეთი) ტანდემი დაამარცხა — 6:1, 7:6, ფინალში კი ალიონა ფომინასა (უკრაინა) და ანია პრისლანის (სლოვენია) აჯობა — 6:2, 4:6, 10:7 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

ასევე წყვილებში გამოიჩინა თავი ანა ტატიშვილმა რუს ნინა ბრატჩიკოვასთან ერთად. ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) ჩვენებურმა ჯერ უნგრელები — რეკა-ლუკა იანი და აგნეს ბუკტა დაამარცხა(7:5, 6:3), მერე

სანდრა კლემენშიცი (ავსტრია) და ანდრეა კლეპაჩი (სლოვენია) ჩამოიშორა გზიდან (6:1, 6:2), გადამწყვეტი პაექრობა კი ანდრეა ჰლავაჩკოვასა და ლუსი ჰრადეჩკასთან (ორივე — ჩეხეთი) დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.

გივი გაგუა

◎ რაგბი

„აია“ ჩემპიონია

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი 7-კაცა რაგბიში. ფინალურ ეტაპზე რვა გუნდმა მოიყარა თავი. ქუთაისის „აიამ“ „ა“ ჯგუფში თბილისის „ხულიგანას“ (21:12) და „ყოჩებს“ (27:7) აჯობა, აღმოსავლეთი დივიზიონის გამარჯვებულ „ჯიქებთან“ კი 12:15 წააგო, მაგრამ ამ უკანასკნელთან ერთად ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. „ბ“ ჯგუფში დასავლეთი დივიზიონის პირველადგილოსანმა „ბათუმმა“ „ლოკომოტივი“ (17:0), „ბაგრატი“ (12:7), „აკადემია“ (17:12) დაამარცხა და ნახევარფინალში „აიას“ დაუპირისპირდა. რიონისპირელებმა ზღვისპირელებს 19:7 მოუგეს, გადამწყვეტ პაექრობაში „ლოკომოტივიც“ დაჯაბნეს — 49:21 და ჩემპიონობა მოიპოვეს. ბრინჯაოს მედალი უბრძოლველად ერგო „ბათუმს“, რადგან „ჯიქებმა“ მე-3 ადგილისთვის თამაშზე უარი თქვეს.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

კარგი ამბები „დილას“ ბანაკში

18 ივლისს, ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, გორის „დილა“ დანიურ „ოლბორგს“ უმასპინძლებს. თურქული შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი დევდარიანის შეგირდებმა 2 დღე დაისვენეს და 13 ივლისიდან საგურამოს ბაზაზე განაგრძეს მზადება. მწვრთნელების თქმით, გუნდში საბრძოლო განწყობაა და ტრავმირებულებიც არ არიან. ამ დღეებში გორულ კლუბში კიდევ 2 მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდება. დღეს ისინი ტექნიკურ სპონსორ „სალერთან“ გააფორმებენ ხელშეკრულებას სრული პაკეტით,. პრეზენტაცია ფირმის ოფისში 14 საათზე გაიმართება. სავარაუდოდ ოთხშაბათს კი „დილას“ გენერალური სპონსორი კერძო კომპანია გახდება. საბიუჯეტო კლუბების შემთხვევაში ეს საქართველოში პირველი პრეცედენტია. ამ საკითხზე ბევრი იმუშავეს კლუბის მენეჯერმა გია ისიანმა და „დილას“ სხვა ხელმძღვანელებმა. არ არის გამორიცხული, „ოლბორგთან“ მატჩში გორელებმა უკვე ახალი გენერალური სპონსორის სატიტულო წარწერიანი მაისურებით ითამაშონ. ფირმის სახელს კი, პრეზენტაციამდე, ისინი გულშემატკივრებისთვის სიურპრიზად ტოვებენ. 18 ივნისს „ოლბორგთან“ მატჩი 18 საათზე დაიწყება.

გიორგი ზოთაძე

◎ სკანდალი

ტაისონ გეის დოპინგ-სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი ტაისონ გეი დოპინგ-ტესტზე ჩავარდა.

30 წლის ამერიკელმა, რომელიც აგვისტოში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე იამაიკელი უსაინ ბოლტის უმთავრეს მეტოქედ მიიჩნეოდა, ინფორმაცია ამის შესახებ თავად გაავრცელა. მისი თქმით, აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტომ აცნობა, რომ 16 მაისს მისგან აღებულმა „ა“ დოპინგ-სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა. „ბ“ დოპინგ-სინჯი ჯერ არ გაუხსნიათ, თუმცა გეიმ უკვე განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 10-18 აგვისტოს მოსკოვში გაიმართება, ის მონაწილეობას არ მიიღებს.



მას არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ სახელდობრ რომელი აკრძალული პრეპარატი აღმოჩნდა სინჯში. „ახლა ამაზე საუბრის უფლება არ მაქვს — თქვა მან — შევცდი. სხვებს ვენდე და დამაღალატეს. მაგრამ ყველანაირ სასჯელს ისე მივიღებ, როგორც ეს კაცს ეკადრება.“

გეი 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სამგზის ოქროს მედალოსანია — ოსაკაში გამართულ პირველობაზე მან 100, 200 და 4X100 მ რბენაში იმარჯვა. რამდენიმე კვირის წინ გეიმ აშშ-ის პირველობაზე ორივე სპრინტერული დისტანცია მოიგო, თანაც სეზონის საუკეთესო შედეგებით. მიმდინარე სეზონის ბრილიანტის ლიგაში ის 100 მეტრზე რბენის საერთო ჩათვლაში თანამემამულე ჯასტინ გეტლინთან ერთად ლიდერობდა.

მძლეოსნობის სამყარო მისი და ბოლტის მოსკოვური დაპირისპირების მოლოდინში იყო...

დავძენთ, რომ ამ დღეებში ანალოგიურ ხათაბალაში რამდენიმე სახელოვანი იამაიკელი მძლეოსანიც გაება, მათ შორის — ასაფა პაუელი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რეგიონი

ფულადი პრიზებიც, ჭედილაც

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ თანადგომით დღესაც გრძელდება სპორტული ბაზების კეთილმოწყობა. დასტურად სამთავისის (კასპის რაიონი) ღია საჭიდაო არენაც გამოდგება, რომელიც გასულ უქმეებზე გაიხსნა. ამ სარბიელს სამბოში მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონისა და პრიზიორის, 14 წლის წინათ ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპული ვანო გამხიტაშვილის სახელი მიენიჭა. საგულისხმოა, რომ იგი ქართულ ჭიდაობაში საქართველოს 1994 წლის ფალავანიც იყო. ამიტომ ღია საჭიდაოს გახსნასთან დაკავშირებით სამთავისში ქართული ჭიდაობაც გაიმართა ორ წონით კატეგორიაში. 80 კილოგრამის ფინალში მეტეხელმა კახა მამულაშვილმა თანასოფელი შმაგი შარიფაშვილი დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე ადგილი გორელ გიორგი პაპუაშვილს ერგო.

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში საუკეთესო იყო რუსელი პაატა ღვინიაშვილი — დაძაბულ გადამწყვეტ პაექრობაში მან თიანეთელ იოსებ იარაჯულს აჯობა. მესამე ადგილზე საჩხერელი ონისე ბულაძე გავიდა. გამარჯვებულებს 1000-1000, ხოლო მეორე-მესამე ადგილებზე გასულთ, შესაბამისად, 600-600 და 400-400 ლარი ხვდათ, ხოლო ღვინიაშვილმა ცოცხალი ჭედილაც დაიმსახურა.

ვაჟა ნოსირელი

◎ ტრანსფერი

ოფიციალურად: ტიაგო ალკანტარა „ბაიერნში“ ითამაშებს

კატალონიის „ბარსელონას“ ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა, რომ 22 წლის შემტევი ნახევარმცველი ტიაგო ალკანტარა კარიერას მიუნხენის „ბაიერნში“ განაგრძობს. ტრანსფერის თანხამ 25 მილიონი ევრო შეადგინა.

რაც აქამდეც მოსალოდნელი იყო, გუშინ ოფიციალურად დადასტურდა. „ბარსელონა“ და „ბაიერნი“ ტიაგოს ტრანსფერზე შეთანხმდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელის გამოსასყიდი თანხა 18 მილიონი ევრო იყო, „ბაიერნი“, რომელსაც პეპ გვარდიოლა წვრთნის, „ბარსელონასთან“ ურთიერთობის გაფუჭებას მოერიდა და კატალონიურ კლუბთან მოლაპარაკების შედეგად 7 მილიონით მეტის გადახდას დათანხმდა.

„ბაიერნის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ტიაგო მიუნხენში უახლოეს მომავალში ჩავა და გერმანულ კლუბთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

გუნდებმა შეთანხმებაში ერთი ამხანაგური მატჩის გამართვის ვალდებულებაც ჩადეს, რომელიც უახლოესი 4 წლის განმავლობაში შედგება.

ტიაგო ალკანტარა „ბარსელონას“ სკოლის აღზრდილია. გასულ სეზონში მან 36 მატჩში 3 გოლი გაიტანა. ბრაზილიური ფესვების მქონე ფეხბურთელთან აქამდე არსებული კონტრაქტის თანახმად მისი გამოსასყიდი თანხა 90 მილიონი ევრო იყო, მაგრამ ვინაიდან მან გასულ სეზონში თამაშების 60%-ში არ ითამაშა 1 აგვისტომდე, ეს თანხა 18 მილიონამდე შემცირდა, რითიც „ბაიერნმა“ ისარგებლა.

◎ ყველას ერთი აზრი აქვს

ოპერაცია — ციხის კადრები

„პოლიტიკა მურტალი საქმეა“ — ამბობს ხალხი. ეს ყველაზე თავანკარა „ხალხური“ გამონათქვამია, რაც ბოლო ათწლეულთა განმავლობაში იშვა ფოლკლორის სახით. მისი მართებულობა კიდევ ერთხელ დაადასტურა „ციხის კადრების“, ანუ „ბედუკაძის“ საქმემ.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ პრემიერ-მინისტრის სენსაციურმა მიმართვამ მთავარი პროკურორისადმი და მომდევნო სიტყვა-პასუხმა (პრესკონფერენცია - ბრიფინგების ჩათვლით), ერთგვარი ზიანი მიაყენა ხელისუფლებას. ნებისმიერი მმართველი ძალისთვის (მით უმეტეს საქართველოში) ყველაზე საშიში გაურკვევლობა და შიდა წინააღმდეგობაა, რასაც იმავე ფოლკლორულ ენაზე „ერთმანეთის ჭამა“ ეწოდება. რა თქმა უნდა, სიტუაციის „არაევროპული“ აღქმაა, მაგრამ მეტისმეტს ნუ მოვთხოვთ ჩვენს ხალხს, თუკი მისთვის მიუღებელი და გაუგებარია ქვეყნის ლიდერი გენერალურ პროკურორს რაღაც გაუგებარი „ფეისბუკის“ მეშვეობით ეკონტაქტებოდეს.

ყველაზე შესაბრალისად კი „ქართული ოცნების“ ელიტა წარმოჩინდა: „ნემსის ყუნწში ძვრებოდა“, აღარ იცოდა რა დიპლომატიური ფრაზეოლოგია მოეშველიებინა, რათა ერთდროულად არც ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგო ეთქვა რაიმე და არც იმ უეჭველ დებულებას დაპირისპირებოდა, რომ ლადო ბედუკაძის ციხეში ჩასმა „პოლიტიკურად არ გამოდიოდა“.

თუ რატომ არ გამოდიოდა, ამის თაობაზე, გულწრფელი და პირდაპირი განცხადება კობა დავითაშვილმა გააკეთა: „სწორედ ციხის კადრებმა გამოიწვია ხელისუფლების ცვლილება ამ ქვეყანაში. და ამ ხელისუფლების მხრიდან ბედუკაძის გათავისუფლების კრიტიკა, — იქნებიან ეს ჩემთვის საპატივცემულო ადამიანები: თინა ხიდაშელი თუ პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი - მე პოლიტიკური კეკლუცობა მგონია“ — აცხადებს დავითაშვილი. მისი თქმით, „რომ არა ბედუკაძე, არც ეს მთავარი პროკურორი იქნებოდა, არც ეს პრემიერ-მინისტრი და არც თინა ხიდაშელი მოხვდებოდა საპარლამენტო უმრავლესობაში. და ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს“.

აი ასე, პირდაპირ ანუ არადიპლომატიურად და არაპოლიტიკურად. სამაგიეროდ გულწრფელად და სამართლიანად.

რაც შეეხება ბედუკაძესთან გაფორმებულ საპროცესო გარიგებას, არჩილ კბილაშვილმა პრესკონფერენციაზე „თითქმის ღიად“ უთხრა დამსწრე ჟურნალისტებს, რასაც ისინი, რასაკვირველია, თავად ვერ მიხვდებოდნენ და ისიც კი ვერ გაიგეს, რაც პროკურორმა „გააჟღერა“, რაკი არც ერთი არ ჩაეკითხა მთავარს: „მაინც რა მუხლით ასამართლებდნენ ბედუკაძეს და სასჯელაღსრულების სამინისტროს 17 თანამშრომელს?!“.

პროკურორ კბილაშვილის თქმით, ბედუკაძისთვის ან 7 წელი უნდა მიესაჯათ, ან პირობითი სასჯელი, ან ფულადი ჯარიმა. აქ ყველაზე ნიშანდობლივი მაინც „7 წლის“ ხსენებაა, რადგან ეს არის ქვედა ზღვარი სისხლის სამართლის კოდექსის საზარელი მუხლით („წამება“) გათვალისწინებული სასჯელისა, რომელიც შვიდიდან ჩვიდმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ანუ „1-2 წელს“ ვერ მიუსჯიდნენ. ლოგიკურად ისმის კითხვა: მაშ სხვებს როგორღა მიუსაჯეს? როგორ და... სხვა მუხლებით! ხოლო წამებისთვის, ანუ „ცოცხით გაუპატიურებისთვის“, რამაც ვითომდაც ასე აღაშფოთა ეს ჩვენი საზოგადოება, სინამდვილეში, საერთოდ არავინ გაუსამართლებიათ!!!

გასაგებია რატომ და როგორ: მთავარი ფიგურანტი დაკითხვაზე (რომლის მასალები, რა თქმა უნდა, გასაიდუმლოებულია) აუცილებლად იტყოდა, რომ „ცოცხის ტარი არ შეეტეოდა“, ანუ, რეალურად არავითარი „ცოცხით გაუპატიურება“ არ მომხდარა და ეს სცენა იდეოტებისათვის დადგმული სპექტაკლი იყო — გლდანის ციხის ერთი საბრალო, ყველასათვის ცნობილი, სულიერად ავადმყოფი პატიმრის მონაწილეობით.

„რა ამოძრავებდა ავტორს?“. აკი „შაჰიდის ქამარი შემოირტყაო“ — პროკურორმა ბრძანა. წინა ხელისუფლება გვიმტკიცებდა, თითქოს „2 მილიონი დოლარის“ ხიბლმა შეიპყრო. მაგრამ ეს არაფრით დასტურდება. დავსვათ კითხვა: რა ამოძრავებდა ედ სნოუდენს, რომელმაც ამას წინათ პლანეტარული საინფორმაციო ბომბი ააფეთქა? რა ამოძრავებდა ჯულიან ასანჟს? დიახაც, არსებობს ასეთი ფსიქოტიპი, რომლის მოტივაცია ფულზე არ დაიყვანება.

უეჭველია, რომ ეს ყოველივე წინასაარჩევნოდ განხორციელებული, კარგად მოფიქრებული და ზუსტად გათვლილი ოპერაცია იყო. ვინ მონაწილეობდა და ვინ მხოლოდ იცოდა, ვინ ხელი შეუწყო და ვინ გადაიხადა რამდენიმე ათასი დოლარი ბედუკაძის ევროპაში გასამგზავრებლად და იქ სარჩენად, — მეორეხარისხოვანი საკითხია. ფაქტია, რომ საქმე გვაქვს კონსოლიდირებული ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციასთან, რომლის მიზანი ამ შემთხვევაში არა იმდენად ძალაუფლების მოპოვება იყო, რამდენადაც არსებული ხელისუფლების დამხობა.

მაგრამ განა ეს სიახლე უნდა გამხდარიყო ეშმაკური PR-პროვოკაციით დამხობილი ხელისუფლებისთვის? გავიხსენოთ: 12 წლის წინათ, „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიამ“ ეთერში გაუშვა უპრეცედენტოდ ბინძური პასკვილი, რომლის ავტორი იმდროინდელ კულტურის მინისტრს ბრალად სდებდა, თითქოს ავადმყოფი შვილის განსაკურნებლად რიტუალური მკვლელობა ჩაიდინა! ეს ტელე-პასკვილი ეთერში ვერ გავიდოდა, მაშინდელ იუსტიციის მინისტრს (მიხეილ სააკაშვილს) რომ მისი ავტორისათვის ციხეში შესვლისა და ორი უდანაშაულო ადამიანის მკვლელთან ვრცელი ინტერვიუს ჩაწერის საშუალება არ მიეცა.

ასე რომ, მიშა ახლა თვითონაც ბევრს ნუ იწუწუნებს: „საზიზღარი PR-პროვოკაცია მომიწყვესო“. თავადაც ამგვარი ხერხებით ანგრევდა შევარდნაძის ხელისუფლებას, როცა თვითონ სჭირდებოდა და „სხვა დრონი მეფობდნენ“ ამ ჩვენს ცოდვილ ქვეყანაში.

გელა კალანდაძე,
„ჯი-ეიბ-ენი“

◎ ჩვენი კარაბადინი

და კანი... წმინდა აბრეშუმია

მზისგან დასაცავი კრემის მუდმივი გამოყენება არა მხოლოდ გვიცავს დამწვრობისა და კიბოსაგან, არამედ ანელებს კიდეც კანის დაბერებას, ამტკიცებენ სპეციალისტები ავსტრალიიდან.

მეცნიერები ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ ექსპერიმენტის 900 მონაწილეს, რომელთა ნაწილიც ყოველდღიურად ირუჯებოდა და იყენებდა მზისგან დასაცავ კრემს. შემდეგ მიკროფოტოგრაფიის ტექნიკის დახმარებით ექიმებმა შეისწავლეს ყველა მონაწილის ხელის ზურგის მხარის ანაბეჭდები. „მოხატულობა კანის ზედაპირზე იძლევა წარმოდგენას მზისგან დაზიანებათა სიმძიმის შესახებ ღრმა ფენების სახით“, — განმარტავენ მკვლევარები.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ის, ვინც რეგულარულად იყენებდა მზისგან დამცავ კრემს, 24 პროცენტით უფრო იშვიათად ავლენდა კანის დაბერების ნიშნებს.

ბუნებას ვერ მოატყუებ

ადამიანის ბიოლოგიური საათი ზაფხულის დროზე არ გადადის, ამტკიცებენ გერმანელი ქრონობიოლოგები.

მეცნიერებმა 50 კაცისთვის ძილის მოდელი ააგეს: ისინი თვალყურს ადევნებდნენ, თუ რომელ საათზე წვებოდნენ დასაძინებლად და იღვიძებდნენ გამოსაცდელები 4 კვირის განმავლობაში ზაფხულის დროზე გადასვლამდე და მის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ თუ ადამიანი სამუშაო დღეებში იძულებულია გაიღვიძოს მაღვიძარას ზარზე, უქმე დღეებში მუშაობს ბიოლოგიური საათი, და ადამიანი ორიენტაციას აკეთებს მზის ამოსვლასა და ჩასვლაზე. „ბიოლოგიური საათი უგულებელყოფს საათის ისრების გადაყვანას და აგრძელებს ცხოვრებას ძველი დროის მიხედვით, ეს კარგად ჩანს უქმე დღეებზე“, — ამბობენ მეცნიერები. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ბიოლოგიური საათის მუდმივ შეცვლას მივყავართ ქრონიკულ სტრესთან და მას არ შეუძლია ზიანი არ მიაყენოს ჯანმრთელობას.

სირცხვილი და თავის მოჭრა ბინძურ საკვამურის მწმენდელებს

ადამიანების 95 პროცენტი არასწორად იბანს ხელს. და მხოლოდ 5 პროცენტი იცავს ჰიგიენის წესებს სრულად. ასეთია გამოკვლევის შედეგები, რომელმაც მოიცვა 3,7ათასი მონაწილე და მოაწყო მიჩიგანის უნივერსიტეტმა (ამერიკის შეერთებული შტატები).

უდიდესი უმრავლესობა პროცედურაზე საშუალოდ დაახლოებით 6 წამს ხარჯავს, მაშინ, როდესაც სახიფათო ბაქტერიების განადგურება ხელისგულებზე საპნის წასმით, დაბანით გამდინარე წყლით და სუფთა პირსახოცით გაწმენდით ხდება 15-20 წამის განმავლობაში.

სტატისტიკამ გვიჩვენა, აგრეთვე, რომ რესპონდენტთა ერთი მესამედი ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ არ იყენებდა საპონს, 10 პროცენტი კი საერთოდ არ იბანდა ხელებს. მთლიანად ქალები მამაკაცებზე უფრო სუფთები არიან.

ხორცის მოყვარულთა საყურადღებოდ

ოთხი წლის განმავლობაში ყოველდღიურად წითელი ხორცის უმნიშვნელო მოხმარებაც კი ორჯერ ზრდის მე-2 ტიპის დიაბეტის განვითარების ალბათობას, ამბობენ სპეციალისტები სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტიდან. ამავე დროს დღეში ხორცის მოხმარების შემცირება ნახევარი ულუფით ოთხი წლის განმავლობაში ამცირებს შაქრის დიაბეტის რისკს მომდევნო ოთხ წელიწადში 14 პროცენტით.

მრავალრიცხოვანმა წინა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ საკვებში წითელი ხორცის მოხმარება ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და მათგან გარდაცვალების რისკს სისხლში ქოლესტერინის ნორმალური დონის დროსაც კი.

◎ ტესტი

როგორ გავატაროთ უკეთ თბილი დღეები?

„უპასუხეთ შემოთავაზებულ შეკითხვებს და გაიგეთ, შეგიძლიათ თუ არა მოაწყოთ თქვენი დასვენება და უკეთ როგორ გაატაროთ შვებულება

1. თქვენთვის ჯანსაღი დასვენება — ესაა...
ა) ქალაქგარეთ ყოფნა ბუნებაში ან ბაღის მონაკვეთში.
ბ) დივანზე წოლა და სპორტული ტელეპროგრამების ან სერიალების ყურება.
გ) თამაშები სუფთა ჰაერზე (ბადმინტონი, ფეხბურთი, ფრენბურთი და ა.შ.) ლაშქრობები, ველოგასეირნებები და ყველაფერი ამგვარი რამ.

2. ჰაერზე ცხოვრებას არჩევთ:
ა) კარავში.
ბ) სასტუმროში.
გ) არ აქვს მნიშვნელობა სად, უფრო მნიშვნელოვანია — ვისთან.

3. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ კომპანიასთან ერთად ხართ ბუნებაში, ამინდი კი უიმედოდ გაუარესდა, რომელიც სიმღერა უფრო მეტად შეესაბამებოდა თქვენს განწყობილებას:
ა) „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“.
ბ) „ბუნებას ცუდი ამინდები არ გააჩნია“.
გ) „ჩემო ციცინათელა, დაფრინავ ნელანელა“.

4. ყოველთვის მთლიანად იყენებთ თქვენს შვებულებას?
ა) ვითარებას გააჩნია, ხდება ხოლმე, რომ ამას ვერ ვახერხებ.
გ) ყოველთვის ვერა.
გ) როგორც წესი, ვცდილობ მთელი შვებულება ვიგრიალო.

5. თქვენ საქმეზე სხვა ქალაქში აღმოჩნდით, რომელშიც აქამდე არასოდეს ყოფილხართ. როგორ გაატარებთ თავისუფალ დროს?
ა) ბუნებაში.
ბ) სასტუმროში ტელევიზორთან ან კომპიუტერთან.
გ) გავეცნობი ქალაქს და ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს.

6. თქვენ უფრო მეტად გიყვართ დასვენება...
ა) კარგად ნაცნობი ადამიანების წრეში.
ბ) განმარტოებით.
გ) ხმაურიან კომპანიაში.

7. წასვლაზე მარდი ხართ?
ა) უფრო კი, ვიდრე არა.
ბ) არა, ეს ჩემი საქმე არაა.
გ) დიახ, მე ყოველთვის მზად ვარ, სადმე წავიდე.

8. ზაფხული — ეს საუკეთესო დროა დასვენებისთვის?
ა) დიახ, ზაფხული — ესაა მზე, ხილი, წყალსაცავები.
ბ) არა, არ მიყვარს სიცხეები.
გ) დასვენებისთვის ყველა დრო კარგია.

9. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი გამონათქვამები , რომელ გამონათქვამს ეთანხმებით ყველაზე მეტად?
ა) „უნიჭო დასვენება უფრო გთენთავს, ვიდრე სამუშაო“.
ბ) „ადამიანი ისეა შექმნილი, რომ ისვენებს ერთი სამუშაოსაგან მხოლოდ მაშინ, როდესაც მეორეს მოკიდებს ხელს“.
გ) „უმჯობესია დაისვენო მანამდე, ვიდრე დაღლილობას იგძნობ“.

10. დასვენება, თქვენი აზრით, უნდა შეიცავდეს:
ა) სასიამოვნოს ამაღელვებულთან ერთად.
ბ) უსარგებლოს მომადუნებელთან ერთად.
გ) სასიამოვნოს სასარგებლოსთან ერთად.

შეაჯამეთ ქულები და გაიკეთეთ დასკვნები

ყოველ პასუხზე „ა“ დაწერეთ 2 ქულა, პასუხზე „ბ“ 1 ქულა, პასუხზე „გ“ — 3 ქულა.

10-16 ქულა. თქვენ ყოველთვის ვერ ახერხებთ გაიმრავალფეროვნოთ დასვენება. სიბრძნე გვმოძღვრავს: ადამიანი, რომელიც არასაკმარისად ზრუნავს თავის დასვენებაზე, ჰგავს ხელოსანს, რომელსაც არასოდეს სცალია, გალესოს თავისი ინსტრუმენტები. დაასრულეთ საქმეები — და გაუტიეთ ზღვის მზიან კურორტზე! ზაფხული მალე გადის.

17-23 ქულა. თუ სურვილს გამოთქვამთ, სავსებით შეგიძლიათ მოიწვიოთ დასვენება გემოვნებით. თქვენ, როგორც ჩანს, გირჩევნიათ არაექსტრემალური, არამედ რომანტიკული დასვენება შვებულების დროს. მწვადი ბუნებაში, სოკოებზე სიარული, საუბარი გიტარის თანხლებით კოცონთან... თავს არ ეუბნებით უარს კმაყოფილებაში, რომ არ გადადოთ შვებულება სადღაც შორს, ვინაიდან დრო, რომელსაც გაატარებთ ზაფხულის განცხრომაში, არ შედის განვლილი წლების ანგარიშში.

24-30 ქულა. თქვენ ახერხებთ მონახოთ გულითადი საქმე, გაირთოთ თავი, დამუხტოთ თქვენი ენერგიით გარშემომყოფნიც. სადაც უნდა წახვიდეთ, შვებულება გპირდებათ, რომ იქნება ნათელი და დასამახსოვრებელი.

◎ სულიერება

გერგეტის სამებობა – სიყვარულის დღე

16 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს გერგეტობას.

..სულ რამდენიმე წელია, რაც დაწესდა ყოვლადწმინდა სამების კიდევ ერთი დღესასწაული — სიყვარულის დღე.

წმინდა იოანე ამბობს: „ღმერთი არს სიყვარული“...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ რა არის სიყვარული... ადამიანი ვერასდროს ვერ ჩასწვდება ღვთის არსს და ასევე ვერასოდეს ახსნის, რა არის სიყვარული, ...ერთი მეცნიერი ამბობს — მე არ მინახავს ღმერთი ბუნებაში“.

...და, მართლაც ყველაფერში ვლინდება, რომ ღმერთი არის სიყვარული.

ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება ადამიანებს შორის!

ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება ზოგადად მთელ დედამიწაზე!

გიული ლიპარტია

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაყშინაურ-ვახელეპოლან

ვინ ებრძვის დავით კირვალიძეს

დღეს უკვე კულისებში ბევრი საუბრობს იმაზე, რომ დავით კირვალიძის პორტფელი შიდასახელისუფლებო დაპირისპირებას შეეწირა და ეს ტალღა რესპუბლიკელი ლაშა ნაცვლიშვილისგან იმართება. თავად კირვალიძე ამ საკითხის კომენტარისგან თავს იკავებს და გამოძიების ობიექტურად წარმართვას და სასამართლოს სამართლიან გადაწყვეტილებას ელოდება.

„ახალი თაობა“

„ზურაბ ჟვანიას სიკვდილის შემდეგ დაცვამ მისი ვაჟი ავარიაში მოაყოლა!“

— აცხადებს ტელეჟურნალისტი მანანა გიორგობიანი და ზურაბ ჟვანიას სიკვდილის შესახებ ბევრ საგულისხმო რამეს ამბობს: „ბარამიძე არის მშიშარა, არაკაცი, რომელმაც ზურას მკვლელობის გამოსაძიებლად არაფერი გააკეთა, ხმა არ ამოიღო. ძალიან კარგად ვიცი, ზურას გარდაცვალების შემდეგ როგორ დადიოდა შერყეული სახით... „იმედი მაქვს, რომ ვასიკო მაღლაფერიძე ოდესმე ხმას ამოიღებს“... „საერთოდ, მგონია, რომ ჟვანიას საქმე გახსნილია, დაასრულებს სააკაშვილი თავის პრეზიდენტობას და ყველაფერი გამომზეურდება“.

„ასავალ-დასავალი“

საყოველთაო დაზღვევის ამოძმედებამ პაციენტთა რაოდენობა თითქმის გააორმაგა

ექიმები აცხადებენ, რომ 1 ივლისის შემდეგ პოლიკლინიკებში მოქალაქეთა უპრეცედენტო რაოდენობა ფიქსირდება, რის გამოც ექიმებთან შესვლის მსურველებს რიგში დგომა საათობით უწევთ. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში, საყოველთაო დაზღვევას ყველა პოზიტიურად აფასებს, მის თანამდევ გარკვეულ ასპექტებზე პაციენტები გაღიზიანებას არ მალავენ და ამბობენ, რომ სერიოზული საჭიროების შემთხვევაში მათ მაინც „ფასიან“ ექიმებთან აგზავნიან, არსებული დაზღვევა კი ნაკლები შედეგის მომტანია.

„რეზონანსი“

შეთქმულება ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

ვინ და რატომ უწყობს შეთქმულებას ირაკლი ღარიბაშვილს? — ამ კითხვაზე პასუხი, ერთი შეხედვით, მარტივია: ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილის ყველაზე ერთგული და საიმედო თანამშრომელია, ამასთან, ღარიბაშვილი, პრაქტიკულად, ერთადერთი ადამიანია, რომელიც პრემიერმა ახლახან, ანუ პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ კი არა, წლების წინ გაიცნო... მოკლედ, ასეა თუ ისე, კულუარებში არსებობს ვერსია, რომ ირაკლი ღარიბაშვილისთვის ძირის გამოთხრას თინა ხიდაშელი ცდილობს...

„ვერსია“

„ერთადერთი იმედი ივანიშვილის მინისტრებიდან თეა წულუკიანი იყო და მასაც შეუკვეცეს უფლებები!“

— გულისწყრომას ვერ ფარავს ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი ზაზა ხატიაშვილი: — თქვენი გაზეთის ფურცლებიდან სააკაშვილს სწორედ ასე ვუთითებდი, მაგრამ არ მისმინა და როგორ დაამთავრა მოღვაწეობა, ყველა ხედავს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგივეს აკეთებს ბიძინა ივანიშვილიც. ერთადერთი იმედი, ივანიშვილის მინისტრებიდან იყო თეა წულუკიანი. როცა ივანიშვილმა დაინახა, რომ წულუკიანი კონსტიტუციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე ახორციელებდა ცვლილებებს, რომლითაც სამართლიანი სასამართლო მართლა გვექნებოდა, ადგა და წულუკიანს უფლებები შეუკვეცა, პროკურატურის შესახებ კანონში კი შეიტანა ცვლილება, რომლითაც პროკურორის მხრიდან ჩადენილ დანაშაულზე ისევ მათ უნდა გამოიძიონ საქმე.

„ძრონიკა“

ქალბატონ ელენე კუჭუხიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს

ჭეშმარიტად ქართველ დედას, სიკეთისა და სილამაზის, ერთგულების განსახიერებას, მთელი სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს. თქვენნაირი კეთილშობილი ადამიანის ამქვეყნად არსებობა მართლაც რომ ღვთით ნაბოძები საჩუქარია არა მარტო თქვენი ოჯახისათვის, არამედ ჩვენთვისაც, თქვენი შვილების მეგობრებისთვისაც.

დღევანდელი დღე მხოლოდ იმით შეგვიძლია მოგილოცოთ, რომ ფერხთით დაგიფინოთ იმ სიყვარულითა და ერთგულებით ნაქარგი ხალიჩა, რომელიც თქვენს მიმართ გაგვაჩნია.

ღმერთმა ჯანმრთელობა ნუ მოგიშალოთ.

დიდი მადლობა ყველაფრისთვის, უპირველესად იმისთვის, რომ არსებობთ და ჩვენს, თქვენი კეთილისმსურველების იმედად და დედად რჩებით.

თემურისა და თენგიზის მეგობართა სახელით

თენგიზ ქავთარაძე

◎ წერილები რედაქციას

მე რომ ქალაქის მერი ვიყო!

21-ე საუკუნეა და თბილისი იმდენად გაიზარდა, რომ სახლები მცენარეთა რაოდენობას ბევრად სჭარბობს, ამიტომ დიდი სიფაქიზითა და მზრუნველობით დავიწყებდი მოშიშვლებულ მთებზე და გორებზე ახალი ნარგავების მოშენებას. ასევე იმ ხმელ ხეებს, რომლებიც ამოსაძირკვია, შევცვლიდი ახალი ნერგებით. უმთავრესად მივხედავდი ქუჩის ტროტუარებს, მაგალითისთვის მარშალ გელოვანის ტრასაც გამოდგებოდა.

ბევრ ადგილზე, სადაც ახალი ობიექტები შენდება, იყო წიწვნარი, მათ კი არ უნდა ძირკვავდნენ, არამედ უნდა გადანერგონ სხვა ადგილზე, ამით მათ სიცოცხლეს შევუნარჩუნებდით ისევ ჩვენი ჯანმრთელობისთვის.

მიწისქვეშა გადასასვლელი აჯობებდა

ძ. თბილისის მერია ტერიტორიულად ძალიან კარგ ადგილზე მდებარეობს, მაგრამ ხალხის მისასვლელად ყველასთვის მოხერხებული არ არის, მავანი იტყვის, გზის გადასასვლელი რკინის კონსტრუქციის ხიდი ხომ არისო, მაგრამ ყველას ხომ არ შეუძლია მაგ ხიდით სარგებლობა, — ზოგი ხეიბარია, ზოგი უძლურია და სხვა და სხვა მიზეზები. არადა თბილისის მერიაში უამრავი საკითხის გასარკვევად მოდიან.

ამიტომ კარგი იქნებოდა, მიწისქვეშა გადასასვლელი რომ გაკეთებულიყო, შუქნიშანი, მაინც რომელიც გააადვილებდა მერიაში მშვიდობიანად მისვლას.

პატივისცემით
თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ზანგი ქუჩაში რძეს სვამს. მას თეთრკანიანი მიუახლოვდა, შეჩერდა, დააშტერდა და გადაჭრით ეუბნება:

— არა, არ გიშველის...

* * *

პარიზის საპატენტო ბიუროში ტიპი მივიდა და განაცხადა, გამოვიგონე მანქანის ძრავა, რომელიც बენზინის ნაცვლად წყალზე მუშაობსო.

შეამოწმეს, მართლაც მუშაობს. დაიწყეს გამოგონების გაფორმება.

— პრინციპში, ორ ალტერნატიული ვარიანტის შემოთავაზება შეგვიძლია, — ეუბნებიან მას, გავაფორმოთ ან ერთ გამოგონებად, ან ორად — „ძრავა წყალზე“ და „წყალი, როგორც საწვავის სახეობა“. თქვენ ხომ საწვავის სპეციალისტი ხართ?

— კი, მრავალი წელი ვიმუშავე საუდის არაბეთის ნავთობის საბადოზე. სხვათა შორის, სწორედ იქ გავაკეთე ჩემი აღმოჩენა.

— მაშ მაშინვე რატომ არ დაიპატენტეთ გამოგონება?

— ვცდილობდი, მაგრამ, როდესაც მათ აღვუწერე ჩემი გამოგონება, იქაც ორი ალტერნატივა შემომთავაზეს.

— თუ საიდუმლო არ არის, იქნებ გვითხრათ, რა ალტერნატივა იყო.

— ჩამოხრჩობა ან ოთხად დანაწევრება.

* * *

ახალი ქართველი, კარგად გამომტყვრალი, ძლივს ჩავდა თავის „შესსოტა“ მერსედესში, რომლის საჭესაც დადარდიანებული მძღოლი უზის.

— რამ დაგადარდიანა, ძმაოჯან? თვეში ათას დოლარს გიხდი, ბინა გიყიდე, კანარის კუნძულებზე რეგულარულად ისვენებ და კიდევ რაზე დარდობ?

— კი არ ვდარდობ, იმას ვფიქრობ, ერთი მძღოლი ხომ არ დაგვექირავებინა?

* * *

— მამი, უკვე შუაღამეა. ასე გვიან რა გვინდა ამ მაღაზიასთან?

— ნუ ლაყბობ. აიღე ხერხი და ბოქლომები გადახერხე.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერეულაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24